საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფაფიოლებით და ჯიბრებით ბუნ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 5 თებერვალი. 2016 წ. №22 (7914), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ეს ნახეთ!..

ქართული ბანკები მხოლოდ ზემაღალ მოგებაზე ③ და ხალხის გაღატაკებაზე არიან ორიენტირებული!

მოსახლეობის უძრავი ქონების დიდი ნაწილი დაიპოთეკებულია ბანკებში, რომლებიც ხელს არ უნდა უწყობდნენ მოსახლეობის პერმანენტულ გაღატაკებას

გაჩეჩილ ტელეკომპანია „მაესტროში“ გენერალურ დირექტორად ლევან გაჩეჩილაძე გაიჩითა!

მაესტრო

ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე არხის 55%-ის მფლობელის გია გაჩეჩილაძის ძმა ლევან გაჩეჩილაძე დაინიშნა.

ეს გადაწყვეტილება ტელეარხის პარტნიორთა კრებაზე გუშინ მიიღეს. ცოტა ხნით ადრე კი, ამავე კრებამ „მაესტროს“ გენერალური დირექტორის თანმდებობიდან ბაია გადაბაძე გადააყენა.

იხ. 12 გვ.

კანონპროექტის მიღება საპატრიარქოს ინიციატივა არ ყოფილა ②

ეს ნახეთ ჩვენს გაზეთში ნაიკითხავ, სხვებან ერთ

რატომ იბლოკება კანონპროექტის განხილვა?

„მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს, შეძენილი საქონელი 14 დღის განმავლობაში დააბრუნოს“ ②

საქართველო მართლაც ნავთობსა და გაზზე დგას?! ⑤

დავით კირკიტაძის ძმა 5 000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს 1 განყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად 1979 წელს დაბადებული **ირაკლი კირკიტაძე** ხულიგნობის ბრალდებით იანვარში დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულმა თბილისში, დიღმის მასივის მე-5 კვარტალში, უხეშად დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მოქალაქეს და თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღი ჩაარტყა, რითაც ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა.

გუშინ კი, კირკიტაძე თანხის სანაცვლოდ გაათავსიუფლეს...

გამოძიებით თვით პუტინიც უნდა იყოს დაინტერესებული... ④



სამი ექსპერტი - სამი განსხვავებული აზრი

მიზან-მიმართული ტყუილი და სახელმწიფოს დისკრედიტაცია ⑥



ფასს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.494; ევრო - 2.726;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.609;
100 რუბლი - 3.176; თურქული ლირა - 0.845;
აზერბაიჯანული მანათი - 1.614;
1000 სომხური დრამი - 5.069

ამინდი 5 თებერვლისთვის

აღმოსავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე -1,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე -7,	დღე +15
დასავლეთ საქართველო:		
ბარი -	ღამე +5,	დღე +21
მთიანი რაიონები -	ღამე -3,	დღე +15
თბილისი:	ღამე +2,	დღე +16

ჩვენი მისამართია:
თბილისი,
მაჩაბლის ქ. №7
რეკლამა:
293-37-87,
599-79-76-79

კანონპროექტის მიღება საპატრიარქოს ინიციატივა არ ყოფილა

საპატრიარქოში აცხადებენ, **რომ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სახდელის დაწესების შესახებ კანონპროექტის მიღების საკითხი საქართველოს საპატრიარქოს ინიციატივა არ ყოფილა. ამასან დაკავშირებით, საპატრიარქო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

„როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის შემოღებას რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის. სოციალურ ქსელებშიც და ზოგიერთ საინფორმაციო საშუალებებში ვრცელდება ინფორმაცია ამ კანონპროექტთან საპატრიარქოს კავშირის შესახებ, მიაჩნიათ რა, რომ მისი მიზანი თითქოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „ჯანსაღი კრიტიკის აცილებაა", რაც რეალობას არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ძალიან ხშირია ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის მიმართ ცილისწამებლური და სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები და გამოსვლები, მსგავსი კანონპროექტის მიღების საკითხი არც ადრე და არც ამჟამად ჩვენი ინიციატივა არ ყოფილა.

რელიგიურ თემებთან დაკავშირებულ ამ და სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან მიმართებაში მომავალ სამშაბათს საქართველოს საპატრიარქოში ინტერრელიგიურ საბჭოში შემავალი რელიგიური გაერთიანებების სამუშაო შეხვედრა იგეგმება", – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა პირველი მოსმენით განიხილა და მხარი დაუჭირა დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა" დასჯადი ხდება. კომიტეტზე განხილვისას, კანონპროექტში შესწორებები შევიდა და შემდეგი ფორმულირება მიიღო – „პირის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით, ხოლო განმეორების შემთხვევაში ჯარიმა 600 ლარია. რელიგიური სიწმინდეების და საკულტო ნაგებობების წაბილწვა 500 ლარით დაჯარიმებას გამოიწვევს".

კანონპროექტის ავტორია დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორი ზვიად ტომარაძე, ხოლო ინიციატორი – სოსო ჯაჭვლიანი.

ევროპული კონვენცია რელიგიური უფლებების პატივისცემასაც გულისხმობს

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებს, რომ სხვისი რელიგიური უფლებების პატივისცემას ევროპული კონვენციაც გულისხმობს. დეპუტატმა ამის შესახებ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" შესატან ცვლილებასთან დაკავშირებით, გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ განაცხადა.

„თუ ვინმეს ჰგონია, რომ ადამიანის უფლებების დაცვა მხოლოდ გამოხატვის თავისუფლებაა, მე ვთხოვდი ყველას, რომ წაიკითხონ ევროპული კონვენციის, როგორც მე-8, ასევე მე-9 და მე-10 მუხლები. ყველა ნახავს, რომ ადამიანის დაცვის სტანდარტი გულისხმობს როგორც სხვისი აზრის პატივისცემას, ასევე სხვისი რელიგიური უფლებების პატივისცემასაც. ყველა ქმედება კი არ უნდა იყოს დასჯადი, არამედ ისეთი ქმედება, რომელიც განზრახ შეურაცხყოფს სხვათა რელიგიურ უფლებებს იმგვარი ფორმით, რომელიც საჯარო ინტერესებს უქმნის საფრთხეს. ეს ფორმულირება არის დასახვეწი, ჩამოსაყალიბებელია. ერთი უფლების დაცვა მეორის უფლებების დარღვევის ხარჯზე არ შეიძლება ხდებოდეს. ასევე უნდა ვცეთ პატივი სხვის აზრს, როგორც სხვის რელიგიურ გრძნობებს. ბალანსი უნდა იყოს დაცული", – განაცხადა ეკა ბესელიამ და დასძინა, რომ სწორედ ეს თქვა კომიტეტმა თავის დასკვნაში.

წულუკიანი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებს ბოდიშს უხდის

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებს ბოდიში მოუხადა.

„ეს განცხადება სცდება ყოველნაირ ჩარჩოს.არ მგონია, რომ ბოდიშის მოხდა იყოს პრობლემა. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების მშობლებს მე, პირადად ვუხდი ბოდიშს და ბავშვის უფლება, რომელიც თანასწორია კანონის წინაშე, უნდა იყოს დაცული. ჩვენ ის სამინისტრო ვართ და ის მთავრობა ვართ, რომელიც ბავშვთა უფლებებზე ვმუშაობთ. ამიტომ, რა თქმა უნდა, ასეთი განცხადებები არის ცალსახად მიუღებელი", – განაცხადა წულუკიანმა.

მისი თქმით, „ქართული ოცნება – მრეწველების" ლიდერის გოგი თოფაძის განცხადება გაუაზრებელი იყო და ის ყველანაირ დასაშვებობის ჩარჩოს სცდება.

შეგახსენებთ, რომ ფრაქცია „მრეწველების" ლიდერმა გოგი თოფაძემ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გააკრიტიკა და აცხადებს, რომ პრეზიდენტმა ქართველი ხალხი დაუნებს შეადარა.

„თქვენ ხართ პირველი კაცი საქართველოში. თქვენი ყველა წინადადება, სიტყვა ანალიზდება და მინდა მოგახსენოთ თქვენი გამონათქვამები ქართველ ხალხზე, ქართველ ერზე. ქართველი ხალხი თქვენ დაუნებს შეადარეთ, ძალიან სამწუხაროა, თუ თქვენ ასე აფასებთ საქართველოს მოსახლეობას, მაშინ არც პრეზიდენტობა უნდა გეკადრათ საქართველოში", – განაცხადა გოგი თოფაძემ საგაზაფხულო სესიაზე, სადაც გიორგი მარგველაშვილი ყოველწლიური მოხსენებით წარსდგა.

მე ბოდიშს ვუხდი საზოგადოებას, ბოდიში პრეზიდენტმაც მოიხადოს!

საქართველოს **პარლამენტი გოგი თოფაძის განცხადებას აქვეყნებს, რომლის თანახმადაც დეპუტატი გუშინდელ გამოსვლასთან დაკავშირებით, ბოდიშს უხდის საზოგადოებას და პრეზიდენტსაც მოუწოდებს, ბოდიში მოიხადოს.**

„ჩემს გამოსვლას არაერთგვაროვანი შეფასება მოყვა საზოგადოებაში და ჩემი სიტყვები არასწორად იყო აღქმული.

მე მხოლოდ მოვახდინე გიორგი მარგველაშვილის სიტყვების ციტირება, რომელიც ჟურნალ „დრო მშვიდობა"-ში სათაურით „ნიჩურტა! – მე ქართველი ვარ" იქნა გამოქვეყნებული და მივუთითე, რომ მსგავსი განცხადებების გაკეთება ქართველ კაცს არ ეკადრება და იმ შემთხვევაში თუ ბატონი პრეზიდენტი ქართველ საზოგადოებას ამგვარ შეფასებას აძლევს, მაშინ მას ამ ქვეყნის პრეზიდენტობაც არ უნდა ეკადრებინა. ჩემთვის, როგორც საზოგადოების ნაწილისთვის მარგველაშვილის ამგვარი სიტყვები შეურაცხმყოფელია.

არავისთვის შეურაცხყოფის მიყენება არ მიფიქრია და თუ ჩვენი საზოგადოების ნაწილის მხრიდან ჩემი სიტყვები ამგვარად იყო აღქმული, რა თქმა უნდა, ამისთვის მათ წინაშე ბოდიშს ვიხდი.

აქვე მოვუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს, რომ მანაც მოიხადოს საზოგადოების წინაშე ბოდიში იმ სიტყვებისთვის, რომლითაც მან ქართველი ერი შეურაცხყო.

ჩემთვის საზოგადოება არის ერთიანი და მის დიფერენციაციას არ ვახდენ", – ნათქვამია განცხადებაში.

ცნობისათვის, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების"თავმჯდომარემ გოგი თოფაძე გუშინ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლა შეაფასა.

იაცენიუკის მთავრობა რეფორმების სასაფლაოა

სააკაშვილი **იაცენიუკს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა.** ოდესის გუბერნატორმა უკრაინის პრემიერ-მინისტრი პოლიტიკურ კორუფციაში დაადანაშაულა, მის მთავრობას კი რეფორმების სასაფლაო უწოდა. სააკაშვილის მწვავე რეაქცია უკრაინის ეკონომიკის მინისტრის გადადგომას მოჰყვა. აივარას აბრამოვიჩუსის გადადგომას პრემიერმა იაცენიუკმა ბრძოლის ველიდან გაქცევა უწოდა. სააკაშვილის თქმით კი, უკრაინის დღევანდელი მინისტრთა კაბინეტი არა ბრძოლის ველი, არამედ რეფორმების სასაფლაოა.

◎ კონფლიქტური ვითარება

რატომ იბლოკება კანონპროექტის განხილვა?

„მომხმარებელს უფლება უნდა ჰქონდეს, შეძენილი საქონელი 14 დღის განმავლობაში დააბრუნოს"

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონი 2011 წელს გაუქმდა. მას შემდეგ გამყიდველს შეეძლო, უვარგისი ნივთი ან საქონელი ისე შემოეჩეჩებინა მყიდველისთვის, უკან დაბრუნებაზე არც ეფიქრა.

თუმცა, 2013 წელს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონპროექტი მომზადდა, რომლითაც მყიდველს შეძენილი პროდუქციის 14 დღის განმავლობაში დაბრუნებისა და გადახდილი თანხის უკან მიღების უფლება ეძლეოდა. ამ კანონპროექტმა განსაკუთრებით გაახარა ის მომხმარებლები, რომლებიც ინტერნეტით იძენდნენ პროდუქციას. მართალია, ფეხსაცმელი ან ტანსაცმელი ინტერნეტის სურათზე მაცდუნებლად გამოიყურებოდა, მაგრამ რეალურად, ზოგჯერ, ჩინური დაბალხარისხიანი საქონელი შეგრჩებოდათ ხელში და მათი დაბრუნება შეუძლებელი იყო.

მომხმარებელთა უფლებების დაცვას ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებაც ითვალისწინებდა, თუმცა, ამ კანონპროექტის განხილვა ჩვენმა პარლამენტარებმა გააჭიანურეს და საგაზაფხულო სესიისთვის გადაიტანეს.

არასამთავრობო სექტორი ამაში დარგობრივი ეკონომიკის პოლიტიკის კომიტეტს ადანაშაულებს. თუმცა, კანონპროექტის არსებულ ვარიანტს არც ბიზნესასოციაციაში წყალობენ. ბიზნესასოციაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს კანონი ბევრი კომპანიის გაკოტრებას და დახურვას გამოიწვევს, ვინაიდან მისი ერთ-ერთი პუნქტი ავალდებულებს ორგანიზაციას, ორი კვირის განმავლობაში იმავე ფასად დაიბრუნოს საქონელი, რა ფასადაც მომხმარებელს მიჰყიდა.

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენელი **ლია თოდუა** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონპროექტი 14 დღის ვადაში ვარგისი პროდუქციის დაბრუნებას მართლაც ითვალისწინებს. მაგალითად, მომხმარებელს ზომა არ მოუვიდა ან ფერის გამოცვლა მოუნდა, მას უნდა ჰქონდეს საშუალება, 14 დღის განმავლობაში მივიდეს მაღაზიაში და შეძენილი საქონელი გამოცვალოს.

ლია თოდუას თქმით, ეს 14 დღე ევროკავშირის ნორმაა, სადაც შეგიძლიათ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე უარი თქვათ შეძენილ პროდუქციაზე. მაგალითად, შესაძლოა, საქონელი ცუდი არ იყოს, მაგრამ თქვენ არ იცოდით, რას ყიდულობდით ინტერნეტში, მარტო სურათს ხედავდით, მერე უკვე როცა ნახეთ, არ მოგეწონათ, მორჩა და გათავდა, განმარტებების გარეშე შეგიძლიათ, დააბრუნოთ.

თუ რატომ დაიბლოკა „მომხმარებელთა დაცვის შესახებ" კანონპროექტის განხილვა, ლია თოდუა განმარტავს, რომ ზურაბ ტყემალაძისთვის მიუღებელია მომხმარებლის დაცვა, რასაც არ აღიარებს და მიზეზებს ეძებს, რათა მაქსიმალურად დროში გაწელოს და არ მიიღოს ეს კანონი.

რაც შეეხება თავად ზურაბ ტყემალაძის არგუმენტს, ის განმარტავს, რომ კანონპროექტი სრულყოფას საჭიროებს, რადგან მომხმარებელს შეუძლია, უნაკლო საქონლის შემთხვევაშიც თქვას, „ეს ნივთი აღარ მინდა" და უცერემონიოდ დააბრუნოს. ამიტომ ზურაბ ტყემალაძეს აინტერესებს, რა უნდა მოხდეს ამის შემდეგ და ვინ უნდა დაიცვას გამყიდველის უფლება?

ამის საპასუხოდ, ლია თოდუა აცხადებს, რომ ეს უკვე პარლამენტში მეორე მოსმენის საკითხია, თუმცა, ბატონი ტყემალაძე პირველ მოსმენამდეც, პრინციპების დონეზე არ უშვებს საკითხს.

„კი ბატონო, ეს ორი კვირა (14 დღე) მარტო ინტერნეტში ნაყიდი პროდუქტებისთვის დავტოვოთ, ან მარტო ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეძენის დროს დარჩეს ძალაში, ან შევამციროთ სამ დღემდე. იმედი გვაქვს, რომ ევროინტეგრაციის კომიტეტი მაინც განიხილავს „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონპროექტს. თავის დროზე ამ კომიტეტის თავმჯდომარე ლევან ბერძენიშვილი შეგვპირდა, აღნიშნულ კანონს გავიტანო, მაგრამ ახლა ევროინტეგრაციის კომიტეტი ზრდილობიანად უცდის ტყემალაძეს. როდემდე გაგრძელდება ასე? ჩვენ უკვე დავუკავშირდით ევროინტეგრაციის კომიტეტს და ვუთხარით, იქნებ, ლოდინი საკმარისია?! ნუთუ არ არის გასაგები, რომ ზურაბ ტყემალაძეს სურს, ეს კანონპროექტი დაბლოკოს, მას ხომ აბსოლუტურად ირაციონალური მოთხოვნები აქვს".

მანანა ნოზაძე

ქართული ბანკები მხოლოდ ზემაღალ მოგებაზე და ხალხის გაღატაკებაზე არიან ორიენტირებული!



389-ე მუხლი, ანუ ისევ თქვენ და ბანკი

სოციალურ ქსელებსა და პრესაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციალისტის, ექსპერტ-ანალიტიკოსის დავით ზარდიაშვილის განმარტებამ იმის თაობაზე, რომ სამართალი უხეშად ირღვევა, როცა ბანკებს დოლარში ან სხვა უცხოურ ვალუტაში ვალი მიაქვთ არა იმ კურსით, რითაც გაასესხეს, არამედ ვალის გადახდის დროს გაზრდილი კურსით.

„რატომ არ ვიღებთ ხმას? როდემდე უნდა გვატყაონ ბანკებმა? მნიშვნელობა არა აქვს, რა წერია სასესხო ხელშეკრულებაში, რადგან ყველა გარიგება, რომელიც კანონს ეწინააღმდეგება, ბათილია. მოგიწოდებთ, გავერთიანდეთ ბანკების ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ. მოვითხოვოთ ლარის კურსის დაცემის გამო ბანკების მიერ მოვალეებისგან უკანონოდ წაღებული ფულის უკან დაბრუნება. სამართალი და კანონი ჩვენს მხარეზეა. ბანკები, რომლებიც დოლარზე მუშაობენ, ძირს უთხრიან ეროვნულ ვალუტას და განუხრელად აგდებენ მის კურსს“, — აცხადებს დავით ზარდიაშვილი და სამოქალაქო კოდექსის 389-ე მუხლს იშველიებს.

ბანკი, რომელიც უცხოურ ვალუტას გაასესხებს, თავად იღებს პასუხისმგებლობას კურსის ცვლილების გამო გამოწვეულ ყველა რისკზე, ხოლო მოვალე დარჩენილ ვალს იხდის იმ კურსით, რაც გასესხების დროს არსებობდა.

ამდენად, ბანკების არგუმენტი იმის თაობაზე, რომ დოლარის გასესხების შემთხვევაში ვალი ისევ დოლარით უნდა დაბრუნდეს, მხედველობაში არ მიიღება, რადგან „ეროვნული ბანკის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება არის ლარი.

389-ე მუხლთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია ქართველ ექსპერტებში. ერთნი თვლიან, რომ ამ მუხლის ამოქმედება შესაძლებელია, თუკი მსესხებელი სასამართლოს მიმართავს და ბანკისთვის ზედმეტად გადახდილ თანხებს დაიბრუნებს, მეორენი კი თვლიან, რომ 389-ე მუხლი არასწორადაა გაგებული და ეს მუხლი მსესხებლის სასარგებლო სულაც არ არის.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ემზარ ჯგერენაია For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ თავად, როგორც ბანკირი, კარგად იცნობს 389-ე მუხლს, სადაც არსად არ არის ნათქვამი, დოლარი არ დააბრუნოთო. რაც შეეხება მოსაზრებას, რომ კურსის ცვალებადობისგან ბანკები მდიდრდებიან, ემზარ ჯგერენაია ამას არასწორად მიიჩნევს, რადგან ბანკმა მოვალეს რომ მისცა სესხი დოლარში, მას მოზიდული აქვს ეს სესხი დოლარში.

— ბანკმა ისესხა ერთი მილიონი დოლარი, მოიტანა დეპოზიტში ევროპის რომელიმე ბანკიდან, ვთქვათ, „იბიარდიდან“ და გასცა ერთი მილიონის კრედიტი. ამ შემთხვევაში, მისი ვალდებულებები დოლარშია, მისი აქტივები დოლარში ერთმანეთის ტოლია. წარმოიდგინეთ, ბანკის რისკმენეჯმენტმა ასეთი რამ გააკეთოს, რომ დღგ-ს გარეშე მიიღოს ერთი მილიონი დეპოზიტი დოლარში და გასცეს ლარში, ორ წუთში გაკოტრდებოდა, მას დაუცველი პოზიცია ექნებოდა. ეს ხომ ბანკის ფული არ არის? ბანკი შუამავალია. დეპოზიტი კი ეკუთვნის ვიღაცას და წარმოიდგინეთ, იმას უთხრას, მე შენ არ დაგიბრუნებ ერთ მილიონ დოლარს, არამედ დაგიბრუნებ უფრო ნაკლებსო, — ამდენად, ემზარ ჯგერენაიას აზრით, 389-ე მუხლი არასწორადაა გაგებული.

მეტიც, მისი თქმით, კანონში ბევრი არაკონკრეტული, ანუ გაუგებარი ჩანაწერია, მაგრამ ყველაფერს კანონში ვერ ჩაწერს ადამიანი, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებს. თუმცა „მე თუ მოგეცით ვაშლი, უნდა დამიბრუნოთ ვაშლი, თუ არადა, კურსი მე არ მაინტერესებს. მაშინ ბანკი გეტყვით, რომ რეფინანსირების პროცენტზე ხართ მიბმული და 8%-იან რეფინანსირებას დაემატება 10%-იც. საბოლოოდ კი, ეს ყველაფერი 18%-მდე ავიდოდა“.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში პაატა შეშელიძე, ემზარ ჯგერენაიას მსგავსად, მიიჩნევს, რომ, როცა ბანკისგან ვალდებულებას იღებ, ამ ვალდებულებას შესრულება სჭირდება. ამდენად, 389-ე მუხლის მოშველიება არასწორია.

> **მოსახლეობის უძრავი ქონების დიდი ნაწილი დაიპოთეკებულია ბანკებში, ხოლო ბანკები ხელს არ უნდა უწყობდნენ მოსახლეობის პერმანენტულ გაღატაკებას**

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ლია ელიავა აცხადებს, რომ, თუ თქვენ აღებული გაქვთ სესხი უცხოურ ვალუტაში და უნდა დააბრუნოთ სესხი ლარში და, თუ ხელშეკრულებით არ არის სხვა რამ გაწერილი (რომ უნდა დააბრუნოთ იმავე კურსით, რა კურსიც იქნება დაბრუნების დღეს), მაშინ მოქმედებს 389-ე მუხლი და ამ მუხლში ყველაფერი ცხადად არის ნათქვამი. კერძოდ, თქვენ უფლება გაქვთ, დააბრუნოთ ლარი იმ კურსით, რა კურსითაც დაიდო საკრედიტო ხელშეკრულება.

— 389-ე მუხლთან დაკავშირებით იურისტებმა კამათი გააჩაღეს და მათი ძირითადი არგუმენტი იყო უზენაესი სასამართლოს 2000 წლის გადაწყვეტილება, რომ თურმე „ეს მუხლი ეხება ფულის გამოცვლის დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს“. როდესაც ჩავეძიე ამ საკითხს, ისეთი უცნაური გადაწყვეტილება აქვს უზენაესს მიღებული, რომ უწერიათ, „ზემოხსენებული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, ფულის ერთეულის გაზრდა ან შემცირება თავისთავად გულისხმობს ფულის რეფორმას“, ანუ იმის მაგივრად, რომ უზენაესმა თქვას, ეს კურსის ცვლილებააო, უზენაესის მოსამართლე წერს, თითქოს ეს არის ფულის რეფორმა, ანუ უზენაესის 2000 წლის გადაწყვეტილება არასწორი, მიკერძოებული და ეკონომიკის უცოდინრობის შედეგია. ამიტომ ამით აპელირება და მისი მოყვანა რკინის არგუმენტად, საეჭვოა. შესაბამისად, თუ მსესხებელი მიაკითხავს სასამართლოს და მოიშველებს კვალიფიციური იურისტის დახმარებას, რომელიც ცოტა მაინც ერკვევა ეკონომიკაში, ის აუცილებლად მოიგებს და ბანკისგან დაიბრუნებს ზედმეტად გადახდილ თანხებს. მით უფრო, სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულება, რომელიც ერთ მხარეს ძალიან ამდიდრებს, ხოლო მეორე მხარეს მნიშვნელოვნად აზარალებს, ბათილია. ასე რომ, ეს სავსებით შესაძლებელია და სასურველია, რომ საამისო რამდენიმე პრეცედენტი მაინც შეიქმნას. ეს იქნება ფინანსური მომსახურების მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართულებით წინგადადგმული ნაბიჯი“, — აცხადებს ლია ელიავა.

დაზარალდება თუ არა ამით კომერციული ბანკი?! ამის შესახებ ექსპერტი აცხადებს, რომ ეს არის ბანკის რისკი და მსესხებელი არ არის ამ რისკზე პასუხისმგებელი. ამის საწინააღმდეგოდ კი, რატომღაც კრედიტორს თავისი რისკები გადააქვს მსესხებელზე, ანუ იმიტომ, რომ მან მცირედით არ იზარალოს, თავისი ზარალი გადააქვს მსესხებელზე და მას აიძულებს, დაუფაროს თავისი ზარალი. არადა, ბუღალტრული წესებით, ზარალი თუ მოუვა ბანკს, ეს გამოიქვითება საგადასახადო დაბეგვრის ბაზისაგან. ამიტომ ეს პროცედურა არ არის სამართლიანი. ამდენად, 389-ე მუხლი გამოყენებადია კლიენტის სასარგებლოდ, თუკი კლიენტი სასამართლოს მიმართავს.

ექსპერტი ვაჟა ბერიძე აცხადებს, რომ დავით ზარდიაშვილის მოსაზრება, რომ ჩვენს მოქალაქეებს მივცეთ საშუალება, დევალვაციამდე არსებული სიტუაციის მიხედვით გადაიხადონ პროცენტები და ძირი თანხა, ბევრ პირობითობას შეიცავს. კერძოდ, საიდან განვსაზღვროთ გაუფასურების მომენტი? როგორი შეფარდებიდან ლარსა და დოლარს შორის? გარდა ამისა, გასათვალისწინებელია არა მარტო მოსახლეობის შეჭირვებული მდგომარეობა, არამედ ბანკების, ბიზნესსტრუქტურების ინტერესებიც. არის კიდევ ერთი რთული მომენტი, ფაქტობრივად, ჩვენი ბანკების საკონტროლო პაკეტს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ან უცხოეთსა და ოფშორში დარეგისტრირებული კომპანიები აკონტროლებენ. ბანკების შეზღუდვა კი ჩვენი ქვეყნისადმი ცუდ რეზონანსს გამოიწვევს.

— თუმცა სპეციფიკური სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა განიხილონ, როგორ მოხდეს ბანკის წინაშე ვალდებულებების დაფარვა, ისე, რომ მოსახლეობაც არ დაზარალდეს და გადახდისუუნარო არ გახდეს, რაც საბოლოოდ ეკონომიკასაც დააზარალებს, სოციალურ ფონსაც და თვით ბანკებსაც. კომპეტენტურმა ფინანსისტებმა ამაზე პოლიტიკოსებთან ერთად უნდა იმსჯელონ და თუნდაც ეს 389-ე მუხლი მოიშველიონ. კარგია, რომ ასეთი მუხლი არსებობს და ამ მუხლის ინტერპრეტირება შეიძლება, მაგრამ რეალურად ამ პუნქტზე მეტი უნდა გაითვალისწინონ. ეს არის ჩვენი საბანკო სისტემის მდგრადობა და ჩვენი სახელმწიფოსა და ეკონომიკის ინტერესები. ბანკი არ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია, ის მოგებაზეა ორიენტირებული და ბანკები ეკონომიკის სისხლძარღვებია. თუმცა სხვა საქმეა დღევანდელი ქართული საბანკო სისტემის ფუნქციონირება, მისი ორიენტირებულობა ზემაღალ მოგებაზე და აქ საინტერესოა, რამდენად კეთილსინდისიერად ასრულებენ ბანკები თავიანთ მისიას და თუ ითვალისწინებენ მძიმე სოციალურ ფონს. ამ მხრივ ჩვენთან ყველაფერი წესრიგში არ არის, მოსახლეობის უძრავი ქონების დიდი ნაწილი დაიპოთეკებულია ბანკებში, ხოლო ბანკები ხელს არ უნდა უწყობდნენ მოსახლეობის პერმანენტულ გაღატაკებას, — აღნიშნა ვაჟა ბერიძემ.

მანანა ნოზაძე

ინფორმაცია

სწავლის პროცესი დედაქალაქის ხუთ სკოლაშია შეწყვეტილი

გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესი დედაქალაქის ხუთ სკოლაშია შეწყვეტილი. განათლების სამინისტროს განცხადებით, სასწავლო პროცესი სამი დღით შეწყდა 53-ე, 21-ე, 112-ე, 152-ე და 81-ე საჯარო სკოლებში, სადაც გაცდენების რაოდენობა 20 პროცენტს აღემატებოდა.

„მშობლებთან ინფორმაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა ნაწილი სკოლაში ავადმყოფობის გამო არ დადის, მოსწავლეთა ნაწილის გაცდენები კი, პოსტგრიპულ პერიოდს უკავშირდება. კერძოდ, პრევენციის მიზნით, იმ მოსწავლეების სკოლაში გაშვებას, რომლებიც გამოჯანმრთელდნენ, მშობლები ერიდებიან. სკოლებში მოსწავლეთა დასწრების მონიტორინგი კვლავ პერმანენტულად განხორციელდება“, — აცხადებენ განათლების სამინისტროში.

◎ ვინ როგორ ფიქრობს

გამოძიებით თვით პუტინიც უნდა იყოს დაინტერესებული

თუ საქართველო რუსეთთან ვაჭრობას დაიწყებს, ავტომატურად გააღვივებს კონფლიქტს დანარჩენ მსოფლიოსთან

„დღეს რუსეთს უჭირს და შეიძლება, ბევრ კომპრომისზე წამოვიყვანოთ“, — მსგავს მოსაზრებას საქართველოში არაერთხელ გაიგონებთ.

ამჯერად ამ შეხედულებას „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი ბათიაშვილი** ახმოვანებს. ის მიიჩნევს, რომ დღეს რუსეთი რთულ სიტუაციაშია. ამიტომ სწორედ ახლა არის საუკეთესო მომენტი საქართველოს ხელისუფლებისთვის, გადადგას გაბედული ნაბიჯი და რუსეთთან სერიოზულ პოლიტიკურ დიალოგზე წავიდეს. ეს ურთიერთობები კი უნდა დაიწყოს არა ბორჯომით და მწვანილით, არამედ აფხაზეთითა და სამაჩაბლოთი.

— ყირიმის ანექსიის მერე აფხაზეთი რუსეთისთვის რაიმე განსაკუთრებული ინტერესის სფეროს აღარ წარმოადგენს. მისთვის უპირველესი საქმეა, რომ საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირებით კიდევ უფრო განიმტკიცოს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობა. სწორედ ახლა არის მომენტი, როდესაც შესაძლებელია, ყინული დავძრათ. შესაძლოა, ხვალ ეს მომენტი აღარ იყოს. რუსეთი თუ წელში გაიმართა, მერე საერთოდ აღარ გამოიხედავს აქეთ, ხოლო, თუ გამოიხედავს — სულ სხვანაირად, — აცხადებს ბათიაშვილი.

პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** აცხადებს, რომ არადამაჯერებელია მოსაზრება, თითქოს ყირიმის ანექსიის შემდეგ აფხაზეთი და სამაჩაბლო რუსეთისთვის არაფერს წარმოადგენდეს. თუ ლაპარაკია სამხედრო-სტრატეგიულ თვალსაზრისზე, რომ ყირიმის შემდეგ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დიდი მნიშვნელობა არა აქვს, შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყოს, მაგრამ აქ სამხედრო-სტრატეგიული თვალსაზრისი არაფერ შუაშია, აქ არის რუსული გეოიმპერიული პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, როგორც სამაჩაბლო, ისე აფხაზეთი რუსეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთმა მთლიანად უნდა შეცვალოს თავისი იმპერიული პოლიტიკა.

რუსეთმა მშვენივრად იცის, რა პრობლემა დგას ქართულ-რუსულ ურთიერთობებში. მშვენივრად იცის ისიც, რომ ეს არის აფხაზეთის და სამაჩაბლოს პრობლემა. არა მგონია, საქართველოში ოდესმე ისეთი ხელისუფალი ყოფილიყო, რომელიც რუსეთის შემოთავაზებას ტერიტორიების დაბრუნების შესახებ ბარიერს შეუქმნიდა. არც დღევანდელი და არც გუშინდელი ხელისუფლება ამას არ გააკეთებდა. პირიქით, რუსეთი რომ მზად იყოს ამ ნაბიჯის გადასადგმელად, ის უბრალოდ გამოვიდოდა საჯარო სივრცეში და იტყოდა, რომ მზად არის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოსაგვარებლად. ეს იქნებოდა პირდაპირი პროპაგანდისტული ნაბიჯი ქართული მოსახლეობისთვის, რომ უარი ეთქვათ ევროკავშირზე. თქვენ წარმოგიდგენიათ, რამხელა კოზირი იქნებოდა ეს რუსული პროპაგანდისთვის? რაც შეეხება „ნეზავისიმაია გაზეტას“ თვალსაზრისს, რომ აგვისტოს ომის გამოძიებამ შეიძლება რუსულ-ქართული ურთიერთობები გაამწვავოს, აქ მთავარია, რომ ჰააგის გამოძიება ქართულ იურისდიქციას სცილდება. საქართველო, როგორც მხარე, ამ ძიებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ არსებული დოკუმენტაცია გადავცეთ ჰააგის პროკურორს, ისევე, როგორც თავის მიერ მოპოვებულ მასალებს გადასცემენ რუსები. ის, რომ გამოძიებას აწარმოებს მესამე, ნეიტრალური მხარე, რა თქმა უნდა, გარკვეულ დაძაბულობას შექმნის, რადგან რუსეთმა მშვენივრად იცის, რაც ჩაიდინა, — აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

წამოვა თუ არა რუსეთი კომპრომისზე აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით, ამის შესახებ ექსპერტი **ზაალ ანჯაფარიძე** აცხადებს, რომ გააჩნია, ჩვენს ხელისუფლებას რა მიზანი აქვს და მომდევნო ოთხ-ხუთ წელიწადში რას გეგმავს. თუ ჩვენი ხელისუფლება გეგმავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართულებით გადადგას კონკრეტული ნაბიჯები, მაშინ მან უნდა დაიწყოს ვაჭრობა რუსეთთან, მაგრამ, როგორც კი საქართველო რუსეთთან ვაჭრობას დაიწყებს, საქართველო ავტომატურად დანარჩენ მსოფლიოსთან შევა კონფლიქტში, რადგან მთელი მსოფლიო რუსეთის აგრესიის წინააღმდეგია და მას ამის გამო სანქციებიც დაუწესეს.

— უნდა კი საქართველოს რუსეთთან კარგი ურთიერთობის ხარჯზე (რომელიც მაინც არ იქნება სრულფასოვანი) გადაიკიდოს დანარჩენი მსოფლიო? საფრთხე შეუქმნას ლარის კურსს და ეკონომიკას? ხომ შეიძლება, საქართველოც ერთბაშად ისეთ იზოლაციაში აღმოჩნდეს, როგორშიცაა რუსეთი? უახლოეს წარსულში ჩვენ ვნახეთ, ნავთობ და ენერგომომპოვებელ ქვეყნებს — ყაზახეთსა და აზერბაიჯანს როგორი პრობლემები შეექმნათ. ასე რომ, თუ ჩვენს ხელისუფლებას უნდა ევროატლანტიკურ ბლოკში გაწევრიანება, მაშინ სწორი გზით მივდივართ. გვიჭირს, მაგრამ ნაბიჯ-ნაბიჯ სწორად მივდივართ. თუმცა, დიალოგი რუსეთთან მაინც უნდა დაიწყოს. ეს უნდა წამოიწყოს თავად რუსეთმა, რადგან 1990 წლიდან დღემდე რუსეთის აგენტურა და რუსეთის გეოსტრატეგიული ინტერესები საქართველოს წინააღმდეგაა მიმართული, ყველა პრობლემა სწორედ მათ შეგვიქმნეს, — აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე და განმარტავს, რომ 2008 წლის ომის გამოძიებით თვითონ რუსეთი უნდა იყოს დაინტერესებული, რადგან, უნდა თუ არა, მომავალში საქართველოსთან მაინც ნორმალური ურთიერთობა ექნება. ამიტომ ამ ორ ქვეყანას შორის არ უნდა არსებობდეს ისეთივე კითხვის ნიშნები, როგორც — 2008 წლამდე.

„თუ ვინმე ფიქრობს, აგვისტოს ომში მარტო სააკაშვილია დამნაშავე, მთლად ასე არ არის. საბედისწერო შეცდომები დაუშვეს სააკაშვილმაც და პუტინმაც. სააკაშვილმა და საქართველომ ამ შეცდომების შედეგები 2008 წელს მოიმკეს, ხოლო პუტინის რუსეთი ახლა იმკის ამ შეცდომებს. ამიტომ, რაც უფრო მეტად დაუმალავენ სიმართლეს საქართველო და რუსეთი თავის მოსახლეობას, მით უფრო მეტი კითხვის ნიშანი, წყენა და გაუგებრობა იქნება ურთიერთობებში. სჯობს, ყველაფერი გაირკვეს და შედეგის გარშემო მერე ვიკამათოთ ცივილიზებულად და ღირსეულად, ვიდრე იყოს გრიფით საიდუმლო თემა და ადამიანები შურისძიების გრძნობას ატარებდნენ გულში“.

მანანა ნოზაძე

◎ სპეკულაცია

საჭიროა საკონსტიტუციო შესწორება, თორემ, „ერთსქესიანთა ქორწინებას“ შემოგვაპარებენ

„უახლოეს დღეებში დაიწყება ახალი პიარკამპანია, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არარეალურია, არ ღირს კონსტიტუციაში შესწორების შეტანა. ისიც ზუსტად ვიცი, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიაში დამუშავდა ეს ახალი გეგმა“, — ამ განცხადებას დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე **სანდრო ბრეგაძე** „რეპორტიორთან“ საუბრისას აკეთებს.

„ქართველოფობებმა, ანუ ერთსქესიანი ქორწინების დაკანონების მომხრეებმა სრული კრახი განიცადეს. ესაა განმსაზღვრელი მიზეზი იმისა, რომ მათ ტაქტიკა შეცვალეს და თავისი ფარული მხარდამჭერების მეშვეობით ცდილობენ საკითხის გაუბრალოებას. წინასწარ გაფრთხილებთ, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება ახალი პიარკამპანია, რომ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება არარეალურია; არ ღირს კონსტიტუციაში შესწორების შეტანა (სადაც განისაზღვრება, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა); რომ უპრიანია კონფორმისტული პოზიციის დაჭერა; რომ ამ საკითხით პოლიტიკოსები სპეკულირებენ, რომელთაც კარიერისტული მიზნები ამოძრავებთ და ასე შემდეგ. ისიც ზუსტად ვიცი, თუ რომელ პოლიტიკურ პარტიაში დამუშავდა ეს ახალი გეგმა. ამავე დროს ძლიერდება ე.წ. „კეთილისმსურველთა“ რჩევები ჩემს მიმართ, რომ გავჩერდე, თორემ შესაძლოა ყველაფერი დავკარგო. სწორედ ამიტომ მინდა, სახალხოდ განვაცხადო: **პოლიტიკურ-კარიერისტული მიზნები რომ არ მამოძრავებს, საშიშროება რომ რეალურია, სწორედ ამის დასამტკიცებლად, მე, როგორც მთავრობის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი, სასწორზე ვდებ ჩემს პოლიტიკურ კარიერას, თანამდებობას, ყველაფერს და საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ თუ მხარდაჭერილი არ იქნება საკონსტიტუციო შესწორება, რომლის მიხედვითაც გამოირიცხება ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, მაშინ მე ჩემს თავს ვერასოდეს ვხედავ იმ ხალხის გვერდით, რომლებიც ღიად თუ ფარულად მხარს უჭერენ ამ უზნეობის (თუნდაც ოდესმე) დაკანონებას! ესაა ჩემი პოზიცია და ის გადახედვას არ ექვემდებარება!“**

◎ უბედური შემთხვევა თუ... მკვლელობა?

ჟვანიას გარდაცვალების ახალი დეტალები, რომელიც პირველ ვერსიას ძირეულად ცვლის

FOR.GE-ს ინფორმაციით, მთავარი პროკურატურა ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გარშემო უახლოეს დღეებში ახალ დეტალებს გაახმაურებს. ოფიციალურად ირაკლი შოთაძის უწყება კომენტარს არ აკეთებს.

არაოფიციალურად for.ge-სთვის ცნობილი გახდა, რომ საგამოძიებო უწყება ექსპერტიზის დასკვნას გაახმოვანებს, რომელიც გამოძიების პირველად ვერსიას, უბედურ შემთხვევას ცვლის. თუმცა, როდის წავა ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბურუსით მოცული გარდაცვალების საქმე სასამართლოში, ჯერჯერობით უცნობია.

ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საზოგადოებისთვის უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი გამოძიების ახალი დეტალები, for.ge-სთან საუბრისას ადასტურებს ყოფილი პრემიერის ძმა გოგლა ჟვანია, რომლის განცხადებით, მას მუდმივი კომუნიკაცია აქვს პროკურატურასთან და რაც უფრო მეტ მასალას ეცნობა, მით უფრო რწმუნდება, რომ ეს იყო მკვლელობა და არა უბედური შემთხვევა.

„მე თვითონ ვარ მოლოდინის რეჟიმში, ტექნიკური საკითხებია, რამაც შეაფერხა ახალი დეტალების გახმოვანება. თუმცა, ეს არ არის ხანგრძლივი პროცესი. უკვე იქნება სიახლე. მალე მნიშვნელოვანი დეტალები უნდა გაიგოს საზოგადოებამ ამ საქმის გარშემო“, — აცხადებს გოგლა ჟვანია.

გარდა ამის, დღის წესრიგში დგას ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსჰუმაციის საკითხი, თუმცა, თარიღი ამ დრომდე გარკვეული არ არის. გოგლა ჟვანიას განცხადებით, ამ ეტაპზე ძალიან მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობს, საუბარია სხვადასხვა სახის ექსპერტიზის ჩატარებაზე და სწორედ ეს პროცესები აჩვენებს, საჭირო იქნება თუ არა ექსჰუმაცია. მისივე თქმით, თუკი საჭირო იქნება, ბუნებრივია, რომ ცხედრის ექსჰუმაცია ჩატარდება. სავარაუდოდ ცხედრის ექსჰუმაცია პროცესის ბოლო ფაზა იქნება.

ამ დრომდე არ არის გადაწყვეტილი, სად ჩატარდება ზურაბ ჟვანიას ცხედრის ექსპერტიზა. თუმცა, სავარაუდოდ, პროკურატურა არჩევანს ისრაელის ერთ-ერთ წამყვან ლაბორატორიაზე გაკეთებს.

თამთა ქარჩავა

დიდი ბლეფი თუ რეალური პერსპექტივა?!

„სამიდან ხუთ წლამდე პერიოდში საქართველო გაზის ექსპორტიორი გახდება და შეძლებს ბუნებრივი აირით თურქეთი და აღმოსავლეთ ევროპა მოამარაგოს“, — ეს განაცხადა ვაშინგტონში, ატლანტიკურ საბჭოში კომპანია „ფრონტერას“ ხელმძღვანელმა სტივ ნიკარსონმა საქართველოში აღმოჩენილ გაზის რესურსებზე საუბრისას.

„ვფიქრობთ, რომ საქართველოში აღმოჩენილი გაზის რესურსი დაახლოებით 5 ტრილიონი კუბური მეტრია. საბადო აღმოსავლეთ საქართველოშია, მოცულობა ბაზარზე 10 წლის განმავლობაში გავა და გაზის მიწოდების კუთხით თამაშის წესებს შეცვლის. საქართველო გაზს მიაწვდის თურქეთს და აღმოსავლეთ ევროპის ბაზრებს. სამიდან ხუთი წლის ვადაში საქართველო გაზის ექსპორტიორი გახდება“, — განაცხადა სტივ ნიკარსონმა.

თუკი ეს ინფორმაცია ოფიციალურად დადასტურდა, თამაშის წესები რეგიონში სერიოზულად გადაიხედება, თუმცა, ამ ეტაპზე ხელისუფლება ამ თემაზე არ საუბრობს, არაოფიციალურად კი აცხადებს, რომ გაზის მარაგებზე დადასტურებული დოკუმენტაცია არ არსებობს. თემაზე კომენტირებისგან თავს იკავებენ ქართველი ეკონომიკური ექსპერტებიც, ზოგიერთ მათგანს კი აღნიშნული ინფორმაცია სარწმუნოდ არ მიაჩნია.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოში სულ სხვა სურათია — „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მონაცემებით, დამუშავებაში მყოფ საბადოებზე ნავთობის მარაგები 7.3 მლნ. ტონაა, ხოლო პირობითი რესურსები კი — 51.4 მლნ. ტონა. პირობით რესურსებში მოიაზრება ახლად აღმოჩენილი საბადოები, რომელთა კომერციულობა ჯერ შეფასებული არ არის. ასევე ქვეყანას აქვს პერსპექტიული რესურსები, ოპტიმალური შეფასებით 677.3 მლნ. ტონა. აქ საუბარია ქვეყნის იმ პერსპექტიულ რესურსებზე (ზღვის ჩათვლით), სადაც კვლევებით გამოვლინდა, რომ შეესაძლოა, საბადოები იყოს, მაგრამ ჯერ არ გაუბურღავთ.

შედარებისთვის — წლიურად აზერბაიჯანი დაახლოებით 45 მილიონ ტონა ნავთობს მოიპოვებს. რაც შეეხება საქართველოს, ისიც ცნობილია, რომ შავი ზღვის ხუთი ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველო სათანადო თანხის უქონლობის გამო ნავთობს აღარ ეძებს შავ ზღვაში.

შეგახსენებთ, სამეგრელოს და აჭარის ტერიტორიაზე 2000-2008 წლებში ძებნა-ძიებითი სამუშაოები ჩაატარა ნავთობის ამერიკულმა კომპანია „ანადარკომ“, მოინიშნა პირველი გასაბურღი ჭაბურღილების ადგილებიც, თუმცა ბურღვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან მაღალ ღირებულებასა და რისკებთან იყო დაკავშირებული, ხოლო „ანადარკომ“ პარტნიორი ვერ მონახა.

სწორედ „ანადარკო“ ავრცელებდა ინფორმაციას, რომ საქართველოს შავი ზღვის შელფის აფხაზეთის მიმდებარე ნაწილი ნავთობის მოპოვების მხრივ პერსპექტიული იყო, თუმცა, ძებნა-ძიებითი სამუშაოები ვერ ხორციელდებოდა კონფლიქტური ვითარების გამო.

თავის დროზე ედუარდ შევარდნაძეც ამტკიცებდა, რომ საქართველო ნავთობსა და გაზზე იდგა, თუმცა საკაშვილი ყველა შესაძლო შემთხვევაში აღნიშნავდა, რომ საქართველოში ნავთობი და გაზი არ არის. რეალურად რა მარაგებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი, ძნელი სათქმელია, რადგან როგორც ჩანს, ჯერ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები, რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

დღეს საქართველო წლიურად მოიხმარს, დაახლოებით, 1,8-2 მილიარდ კუბურ მეტრ გაზსა და 800 000-დან 1 მილიონ ტონამდე ნავთოპროდუქტებს. მაგალითად, 2014 წელს კი მხოლოდ 15,6 მილიონი კუბური მეტრი გაზი მოვიპოვეთ.

სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბოლო პერიოდში ჩატარებული სეისმოძიების სამუშაოების შედეგად საქართველოში აღმოჩენილია 40-მდე პერსპექტიული უბანი, სადაც ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, იყოს ნავთობისა და გაზის საბადოები, მათ შორის, შავი ზღვის შელფზეც.

რაც შეეხება „ფრონტერა რისორსიზ კორპორეიშნს“, მან 2015 წლის ბოლოსაც გაავრცელა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ძებნა-ძიების ოპერაციების შედეგად მიღწეულ გაზის რესურსების მნიშვნელოვანი მატების შესახებ. კომპანია აცხადებდა, რომ „ფრონტერას“ ამჟამინდელი საქმიანობის შედეგად გადაანგარიშდა გაზის საწყისი რესურსები, რის შედეგადაც 300-5000 მეტრის ინტერვალში აღმოჩენილ სამიზნე კოლექტორებში იგი 135 ტრილიონ კუბურ ფუტს (3.8 ტრილიონ კუბურ მეტრს) შეადგენდა.

კომპანიის ანგარიშში ნათქვამია, რომ თუ აღმოჩენილი გაზის მარაგის მოცულობას დამოუკიდებელი წყაროები დაადასტურებენ, ხოლო გეოპოლიტიკური გამოწვევები წარმატებით მოგვარდება, ეს ნიშნავს, რომ დაბალშემოსავლიანი საქართველო, შეძლებს გაზის იმპორტიორის ნაცვლად, ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს.

„სამხრეთ კახეთის გაზის კომპლექსი“ შეძლებს გაზის მიწოდებას თურქეთში, რუმინეთში, უკრაინასა და ევროპულ ბაზრებზე. საქართველოს შეუძლია განახორციელოს გაზის ექსპორტი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე თხევადი გაზის მცირე ტერმინალით, ან თურქეთში გაყვანილი მთავარი საექსპორტო გაზსადენითა და ასევე ტანაპით“, — წერს ანგარიშის ავტორი, აშშ-ის ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და გეოპოლიტიკის ცენტრის ხელმძღვანელი არიელ კოენი.

ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის საქართველოსთან თანამშრომლობა უნდა გახდეს ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი. ატლანტიკური საბჭოს ანგარიშს „დასავლეთის ენერგეტიკული სტრატეგიის განვითარება შავი ზღვის რეგიონისთვის და მის გარეთ“ ეკონომიკური პორტალი bpn.ge ავრცელებს. მასში იმ პერსპექტივებზეა საუბარი, რაც შესაძლოა, ქვეყანას გაუჩნდეს.

კოენის მოსაზრებით, საქართველოს დღეს სჭირდება მეტი მხარდაჭერა ხელისუფლებისგან, მეტი გამჭვირვალობა, კარგი მმართველობა, კანონის უზენაესობა, ურომლისოდაც უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვა რთული იქნება.

მარიამ თოდაძე

◎ კანონმდებლობა

ღატაკი სულს ღაფავდეს და მდიდარს ვეხმარებოდეთ?!

ხელისუფლების საჩუქარი უმსხვილეს კომპანიებს

პარლამენტმა უმსხვილეს ფინანსურ ორგანიზაციებს საგადასახადო შეღავათები დაუწესა — ისინი ბიუჯეტში მილიონობით ლარს აღარ გადაიხდიან. და ეს მაშინ, როდესაც წვრილი და საშუალო ბიზნესი ქვეყანაში სულს ღაფავს და დღემუდამ შველას ითხოვს!

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ბიუჯეტში თანხების შეტანისგან თავისუფლდებიან კომპანიები, რომლებიც საერთაშორისო ბირჟებზე არიან გასული. ამჟამად ასეთი სულ სამი კომპანიაა — „საქართველოს ბანკი“, მისივე დაფუძნებული სამედიცინო კორპორაცია „ევექსი“ და „თიბისი ბანკი“.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური კომიტეტის წევრი **თემურ მაისურაძე** ამბობს, რომ მართალია, აღნიშნული შეღავათით ამ ეტაპზე მხოლოდ სამი კომპანია ისარგებლებს, თუმცა, სამომავლოდ ეს ხელს შეუწყობს კონკურენციას. მიზანი კი არის ის, რომ რაც შეიძლება მეტი ფული ჩაბრუნდეს ბიზნესში და განვითარდეს ფასიანი ქაღალდების სისტემა. ამ ხელშეწყობით ისარგებლებს ყველა, ვისაც ფასიანი ქაღალდები საერთაშორისო ბირჟაზე ექნება განთავსებული. ეს ცვლილება უფრო მომგებიანს გახდის ინვესტორებისთვის საქართველოში შემოსვლას და რეალური კონკურენცია შეიქმნება.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრი **ზურაბ მელიქიშვილი** „ბიპიენთან“ საუბრისას განმარტავს, რომ ცვლილება გულისხმობს, მოგების გადასახადის გაანგარიშებისას ერთობლივი შემოსავლიდან ბირჟაზე გაწეული დანახარჯების გამოქვითვას. ეს ცვლილება კი მხოლოდ მსხვილი ბიზნესისთვის არ უნდა ხდებოდეს.

ეკონომისტები ხელისფლების ახალ გადაწყვეტილებას ძალიან უარყოფითად უყურებენ. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტის მერაბ ჯანიაშვილის თქმით, სამწუხაროა, როცა მსხვილ საფინანსო ინსტიტუტებს თავიანთი იდეების ლობირება და შემდეგ პარლამენტში საკანონმდებლო დონეზე მიღება სხვაზე ადვილად შეუძლიათ, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები კი ხანდახან წლების განმავლობაში ითხოვენ გადასახადების განაკვეთის შემცირებას.

ბექა დანელია

◎ ექსპერტის ეჭვები

დიდი რაოდენობის გაზის აღმოჩენის შესახებ მითები თუ სიმართლეა, რატომ გვიმალავენ?

ატლანტიკურმა საბჭომ წარმოადგინა ანგარიში, რომლის მიხედვითაც აღმოსავლეთ საქართველოში გაზის უზარმაზარი მარაგი აღმოაჩინეს. ატლანტიკური საბჭოს ანგარიში კომპანია „Frontera Resources“ ინფორმაციას ეყრდნობა. ამ თემაზე „რეპორტიორს“ კავკასიის საკითხებში ექსპერტი **მამუკა არეშიძე** ესაუბრა. არეშიძის განცხადებით, ამ თემაზე ენერგეტიკოსებს ესაუბრა და არავითარი დამადასტურებელი ცნობა არ არსებობს იმის შესახებ, რომ საქართველოში გაზის ასეთი ოდენობის მარაგი ნამდვილად არსებობს.

„ამ თემაზე საუბარი მქონდა ენერგეტიკოსებთან და მითხრეს, რომ არავითარი დამადასტურებელი ცნობა არ არსებობს იმის თაობაზე, რომ საქართველოში ასეთი რაოდენობის ბუნებრივი აირი არსებობს. მაქსიმუმი რაც არის, ესაა მილიარდ ცხრასი ათასი კუბმეტრი, ეს არის ნინოწმინდასა და კახეთში. საქართველოს ხელისუფლებისთვის ბუნებრივი აირის ამ ოდენობის არსებობის შესახებ დოკუმენტაცია არავის წარუდგენია. იყო საუბარი, რომ დედოფლისწყაროში უზარმაზარი მარაგია ნაპოვნი, შარშან „ფრონტერამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 42 მილიარდი კუბმეტრია ნაპოვნიო. მიუხედავად ჩვენი მოთხოვნისა, დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი, ამიტომ ამ თემაზე რამის თქმა რთულია.

არიელ კოენს პირადად ვიცნობ, ის ავრცელებს „ფრონტერას“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას. კოენი სერიოზული პიროვნებაა და აქედან გამომდინარე, გარკვეული შეშფოთებაც გამიჩნდა იმის გამო, რომ კოენი შეცდომაში ხომ არ შეიყვანეს.

ქართველი ენერგეტიკოსებისა და „ფრონტერას“ ინფორმაციები აბსოლუტურად განსხვავებულია. არ ვიცი, „ფრონტერამ“ რატომ გაავრცელა ეს ინფორმაცია, ყველას გაგვიხარდება, ეს სიმართლე რომ აღმოჩნდეს. თუ ეს სიმართლეა, გაუგებარია, რატომ არ არიან საქართველოს ხელისუფლება და ნავთობისა და გაზის კომპანია საქმის კურსში“, — განაცხადა არეშიძემ.

სოფო ხუგოიანი

მიზანმიმართული ტყუილი და სახელმწიფოს დისკრედიტაცია

ვინ იპარავს მოსახლეობის კუთვნილ მიწებს და... ნერვებს?

ხდება თუ არა ქვეყნის მასშტაბით კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია? — ბოლო დროს ამ კითხვამ მთელი სიმწვავით იჩინა თავი. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლება ამ ფაქტს გამორიცხავს, ოპოზიციის წარმომადგენლებმა თითზე დაიხვიეს და ჯიუტად ავრცელებენ და ამტკიცებენ მსგავს ინფორმაციას.

ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩში“ ირწმუნებიან, რომ მათ რამდენიმე რაიონი გადაამოწმეს და დაადგინეს, რომ მარტვილის, გორის, ბორჯომის რაიონებში ინტენსიურად მიმდინარეობს ოჯახების მფლობელობაში არსებული მიწების ჩამორთმევა შეტყობინების გარეშე და მათი სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაცია. **„მხოლოდ მარტვილში მთავრობამ უკვე 1,000 ჰექტარზე მეტი მიწა მიითვისა. სავარაუდოდ, ანალოგიური პროცესი დაიწყება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ნიშნავს შემდეგს: თქვენ ან თქვენი ოჯახი, შესაძლოა, თვლიდეთ, რომ საკუთრებაში მიწის ნაკვეთი გაგაჩნიათ, რომელსაც წლების განმავლობაში ფლობთ, ამუშავებთ, მაგრამ რეგისტრაცია საჯარო რეესტრში გაკეთებული არ გაქვთ. ასეთ მიწის ნაკვეთს მთავრობა ჩამოგართმევთ ისე, რომ არც შეგატყობინებთ და გადააფორმებს სახელმწიფოზე“,** — აცხადებენ „გირჩელები“.

ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ აღნიშნული პროცესი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და საკუთრების უფლების უხეში დარღვევაა. **„სასწრაფოდ უნდა შეწყდეს მთავრობის მხრიდან მოსახლეობისთვის მიწის ნაკვეთების მოპარვის პროცესი. ეს არის ეკონომიკის და იუსტიციის მინისტრების პასუხისმგებლობა. ჩვენ ვაპირებთ დავადგინოთ, ვინ გასცა ამ უკანონო და უსამართლო პროცესის დაწყების ბრძანება და დავიცვათ თითოეული მიწის მფლობელი ოჯახის საკუთრების უფლება“,** — აღნიშნულია „გირჩის“ განცხადებაში.

ეს არის მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მორიგი მცდელობა, ვინაიდან, ჯერჯერობით, არც ერთი კონკრეტული პირისთვის არ ჩამოურთმევიათ მიწის ნაკვეთი უკანონოდ, ან არც მისი ნაწილი მიუთვისებიათ.

წინასწარ ამის დაანონსება კი, ალბათ, მხოლოდ მკითხაობა და ვარაუდია. რამდენიმე ტელესიუჟეტისა და პრესაში აგორებული სკანდალის შემდეგ სახელმწიფო მოხელეები არაერთხელ შეეცადნენ ვნებათაღელვის ჩაცხრობას, მაგრამ თემა იმდენად ხმაურიანია, რომ ინტერესი არ ცხრება.

დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის **ზურაბ ტყემალაძის** მტკიცებით, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება მიწების ინვენტარიზაცია და არა კერძო მფლობელობაში არსებული მიწების სახელმწიფოზე გადაფორმება. **„ძალიან კარგი იქნება, საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები იურიდიულად გაიმართოს და ყველამ თავის საკუთრება საჯარო რეესტრში დაიკანონის ისე, როგორც ეს წესია. დღესდღეობით სახელმწიფო ახორციელებს მხოლოდ მიწების ინვენტარიზაციას. პარლამენტში შემოტანილია კანონპროექტი, რომელიც ახლა შეჩერებულია და გულისხმობდა იმას, რომ მთავრობას შეეძლო ასეთი მიწები საკუთარ სახელზე დაერეგისტრირებინა. თუკი მოხდებოდა ვიღაცის მიწის დარეგისტრირება, ერთი წლის განმავლობაში მათ შეეძლოთ ეს გაეპროტესტებინათ და მიწას ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაურეგისტირებდნენ. ამ კანონპროექტთან დაკავშირებით იყო მთელი რიგი კითხვები და პროექტის განხილვა შეჩერებულია. ჩასატარებელია კონსულტაციები, რადგან ისე არ მოხდეს, რომ მოსახლეობის თუნდაც მცირე, მაგრამ გარკვეულ ნაწილს რაიმე შეფერხება შეექმნას“,** — აღნიშნა ტყემალაძემ.

ამ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელიც ადასტურებს დეპუტატის განცხადებას, რომ მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და არა მიწების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირება.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქვეყნის მასშტაბით 2013 წელს დაიწყო სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის პროექტი, რომლის შედეგად, დღევანდელი მდგომარეობით თბილისში აღმოჩენილია 700 ჰექტარამდე, ხოლო რეგიონებში 255 ჰექტარი როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. სააგენტოს თავმჯდომარის **ეკატერინე სისაურის** განცხადებით, ეს პროცესი მიმდინარეობს აბსოლუტურად გამჭვირვალედ, საჯაროდ ხდება ადგილზე ინფორმაციის დეტალური შესწავლა და დამუშავება. **„ჩვენი მობილური ჯგუფი გადის ადგილზე, დეტალურად სწავლობს არსებულ ვითარებას, ამუშავებს საჯარო რეესტრში აღრიცხულ ინფორმაციას და ამ ყველაფრის ინფორმირება ხდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. თუ ჩვენ გვაქვს გარკვეული ეჭვი, რომ ქონებას შეიძლება ჰყავდეს ფაქტობრივი მოსარგებლე ან მფლობელი, ხდება ინვენტარიზაციის პროექტში შესაბამისი აბრების გაკვრა, სადაც მითითებულია, რომ მიმდინარეობს ინვენტარიზაციის პროცესში რეგისტრაცია“,** — აცხადებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ეკატერინე სისაური.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო რეესტრში არ იქნება დაცული ან საარქივო, ან რეესტრში აღრიცხული მონაცემი, სახელმწიფო დაარეგისტრირებს ინვენტარიზებულ, უძრავ ქონებას სახელმწიფოს საკუთრებად, მხოლოდ შესაბამისი შეზღუდვით. ინვენტარიზაციის ფარგლებში აღმოჩენილი ქონება, სულ მცირე, ერთი წლის ვადით არ გასხვისდება. ამ ვადაში ქონების ყველა პოტენციურ მფლობელს შეუძლია მიმართოს საჯარო რეესტრს და დაირეგისტრიროს თავისი უფლება. **„იმ შემთხვევაში, თუ ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ არ მოხდა ასეთი ტიპის იდენტიფიცირება, სახელმწიფო ავტომატურად არ ახდენს ასეთი ქონების განკარგვას და გარკვეულ დროს აიღებს კიდევ იმისთვის, სანამ საბოლოოდ არ გამოირიცხება ეს რისკები“,** — აღნიშნა სისაურმა.

სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოში ამბობენ, რომ რეალობას არ შეესაბამება ინფორმაცია, თითქოს მარტვილის რაიონში, ინვენტარიზაციის ფარგლებში უკვე დარეგისტრირდა ჰექტარობით მიწა და მოხდა მისი განკარგვა-მიტაცება სახელმწიფოს მხრიდან. **„მარტვილის რაიონში მიმდინარეობს ქონების აღრიცხვა-ინვენტარიზაცია, თუმცა, თუ ავიღებთ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებს, ვნახავთ, რომ 2009-2010 წლებში, ინვენტარიზაციის პროექტის დაწყებამდე, უკვე რეგისტრირებული იყო აღნიშნულ რაიონში კონკრეტული მიწის ნაკვეთები“,** — განაცხადეს სააგენტოში.

უწყების ცნობით, სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მოქმედებს უწყებათშორისი კომისია, რომელიც აქტიურად განიხილავს სახელმწიფოსთან მიწის ნაკვეთების გადაფარვის საკითხს. ბოლო სამი წლის განმავლობაში კომისიას რამდენიმე ასეული შემთხვევა აქვს განხილული და მიღებულია შესაბამისი გადაწყვეტილებები, რის საფუძველზეც უკვე ძალიან ბევრმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა საკუთრებაში დაირეგისტრირა მიწის ნაკვეთები.

ასე რომ, აგორებული სკანდალი, ცხადია, პოლიტიკურ მიზნებს ემსახურება, თუმცა, ასევე ძალიან ძაგავს და ამძიმებს ისედაც ათასგვარი პრობლემით დატვირთულ ყოველდღიურობას!

თეა მოსია

თეა წულუკიანი:

არც ერთი ჩვენი მოქალაქე არ დაკარგავს იმ საკუთრებას, რაც არის მისი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის თქმით, არც ერთი მიწის მესაკუთრე არ დაკარგავს იმ საკუთრებას, რაც არის მისი. თუმცა პარლამენტში იუსტიციის სამინისტროდან შევიდა კანონპროექტი, რომელიც დაურეგისტრირებელი მიწების მთავრობის საკუთრებად რეგისტრაციას ითვალისწინებს. წულუკიანი ამბობს, რომ მთავრობა მიწის რეფორმაზე აქტიურად მუშაობს და უახლოეს მომავალში პარლამენტში შევა ის ნორმები, რომლებიც ფაქტობრივ საკუთრებაში არსებული ქონების რეგისტრაციასა და მიწის აზომვას წაახალისებს.

— არც ერთი ჩვენი მოქალაქე არ დაკარგავს იმ საკუთრებას, რაც არის მისი. ჩვენ ის მთავრობა ვართ, რომელმაც დაცულობა მოუტანა კერძო მესაკუთრეებსა და მათ უფლებებს. ორშაბათს გვექნება სამუშაო შეხვედრა სწორედ მიწის რეგისტრაციების თემაზე დეპუტატებთან. რადგან ჩვენ სამინისტროში შევიმუშავეთ ხედვა, თუ როგორ უნდა წავახალისოთ ჩვენი მოქალაქეები, რომლებსაც არა აქვთ საბუთი, მაგრამ მისია მრავალი თაობის მანძილზე ეს მიწა. გეგმა, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ მათ, რომ მოიძიონ სათანადო საბუთები, როგორ უნდა მუშაობდეს თითოეული მიწის ამზომველი, რადგანაც ჩვენ ამზომველების პრობლემაც გვაქვს. ვისაც მიწა დაგირეგისტრირებიათ, ყველამ იცით, რომ არიან კარგი ამზომველები და არიან ამზომველები, რომლებიც აბსოლუტურად უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ საქმეს და შემდეგ მოქალაქეს ამზომველის შეცდომების გამო სასამართლოში სიარული უწევს. ასევე ვმუშაობთ იმაზე, თუ როგორ გავასწოროთ ის ფინანსური ბარიერები, რომლებიც სოფლად თუ ქალაქად მცხოვრებთ ხელს უშლის საკუთრების დარეგისტრირებაში. წამახალისებელი ნორმების შესახებ მოვამზადეთ ერთიანი ხედვა, — ამბობს თეა წულუკიანი.

2015 წლის დეკემბერში პარლამენტში შევიდა საკანონმდებლო ცვლილების პროექტი, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აძლევს უფლებას ყველა მიწაზე, რომელიც რეგისტრირებული არაა. თუკი იუსტიციის სამინისტრო პარალელურად შეიმუშავებს ნორმებს, რომლებიც მიწის რეგისტრაციასა და აზომვას წაახალისებს, ამ კანონპროექტის უარყოფითი ეფექტები შესაძლოა, შერბილდეს.

მთავრობის მიერ მომზადებული კანონპროექტის განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ კანონპროექტის ავტორებს ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტებთან კონსულტაციები არ გაუვლიათ. ასევე არ არსებობს შესაბამისი ექსპერტების დასკვნა კანონის ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებით.

◎ ერთი აბზაცი

ახალი სპეცტექნიკა – ყაზბეგის მუნიციპალიტეტს

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ ყაზბეგის მუნიციპალიტეტს თოვლისა და ყინულის მჭრელი სპეცტექნიკა გადასცა. აღნიშნული ტექნიკა მრავალფუნქციურია და მისი მეშვეობით წელიწადის ნებისმიერ დროს ქუჩების დასუფთავება და ნარჩენების გატანაცაა შესაძლებელი. თოვლისა და ყინულის მჭრელი სპეცტექნიკა მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერითაა შეძენილი და მისი ღირებულება 295,000 ლარია.

ჯი-ეიჩ-ენი

რა ელის კაცობრიობას?!

მოდი ლაპარაკობ!



გასულ წელს, New York Times-მა მიჩიო კაკუ ნიუ-იორკის ერთ-ერთ ყველაზე განათლებულ ადამიანად დაასახელა. იაპონელი წარმოშობის ამერიკელმა ფიზიკოსმა მოღვაწეობის დიდი ნაწილი შავი ხვრელებისა და სამყაროს გაფართოების დაჩქარების შესწავლას დაუთმო, დააარსა string-ის თეორია, რომელიც ფიზიკის ერთ-ერთ ძირითად მოდელადაა მიჩნეული. მეცნიერი არის 8 ბესტსელერი წიგნის, BBC-ისა და Discovery-ს გადაცემების სერიათა ავტორი. შემოთავაზებულ ინტერვიუში იგი საუბრობს საკუთარ ხედვებზე მომავლის განათლების სისტემასთან დაკავშირებით.

— თქვენს წიგნში „მომავლის ფიზიკა“ წერთ, რომ განათლება დაფუძნებული იქნება ინტერნეტ-ტექნოლოგიებსა და Google Glass-ის ტიპის მოწყობილობებზე. კიდევ რა ფუნდამენტურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ სწავლების სფეროში?

— მთავარია ის, რომ სწავლის პროცესი დამახსოვრებაზე აღარ იქნება დაფუძნებული. ძალიან მალე, კომპიუტერები და Google Glass-ის სათვალეები მინიატიურულ ლინზებად ტრანსფორმირდებიან, რომლებშიც ნებისმიერი სასურველი ინფორმაციის ჩატვირთვა იქნება შესაძლებელი. უკვე არსებობს მსგავსი ფუნქციის მქონე სათვალეები, ასე რომ, დაახლოებით 2 წლის შემდეგ სკოლის მოსწავლეებსა და სტუდენტებს შეეძლებათ გამოცდებისას პასუხების ინტერნეტში ძიება, ამისათვის კი საკმარისი იქნება თვალის ერთი დახამხამება! ერთ მხრივ, აღარ იქნება საჭირო ტვინის უსარგებლო ინფორმაციით გადატვირთვა. მეორე მხრივ - გონების თავისუფალი ნაწილი კონცენტრირდება ფიქრის, ანალიზის, არგუმენტირების, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებაზე.

— ეს იმას ნიშნავს, რომ აღარ იქნება გამოცდებისა და მასწავლებლების არსებობის საჭიროება?

— ნამდვილად. ჩვენ უფრო დამოუკიდებლები ვიქნებით. ავიღებთ სრულ პასუხისმგებლობას საკუთარ ცხოვრებაზე, შესაბამისად, აღარ იქნება სხვა ე.წ. „მაკონტროლებელი ორგანოები“ საჭირო. ჩვენ ჩვენით განვანათლებთ საკუთარ თავს. კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, იარსებებს ე.წ. „გონიერი“ კედლები. ეს კედლები იქნება ყველგან: ბინებში, ოფისებში, ქუჩებშიც კი. საკმარისი იქნება მხოლოდ მასთან მიახლოება და თქმა: „მსურს, გავესაუბრო ბიოლოგიის პროფესორს“. წამიერად, კედელზე მეცნიერი გაჩნდება, რომელიც ნებისმიერი სახის ინფორმაციას მოგაწვდით. ეს სისტემა არა მხოლოდ განათლების, არამედ მედიცინის, იურისპრუდენციის, დიზაინის, ფსიქოლოგიისა და სხვა სფეროებშიც გამოგვადგება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს ნამდვილი სპეციალისტების, მაგალითად, ქირურგების საჭიროებას რეალურ ცხოვრებაში, თუმცა, „გონიერი“ კედელი პატარა პრობლემებს მარტივად მოგაგვარებინებთ. მასწავლებლები კი ნამდვილად აღარ იქნებიან საჭირო. ნელ-ნელა, უახლოესი 50 წლის მანძილზე განათლების სისტემა მთლიანად ვირტუალური გახდება. სავარაუდოდ, ისევ იარსებებს სასწავლო დაწესებულებები, თუმცა მათ, ვინც ლექციებს დაესწრებიან, უბრალოდ წარუმატებელ ადამიანებს უწოდებენ, რომლებმაც ვერ მოახერხეს თავიანთი ძალებით განათლების მიღება.

— მიღებული განათლების დამამოწმებელი საბუთი — დიპლომი ალბათ აღარ იარსებებს. ექნება თუ არა მას რაიმე ალტერნატივა?

— დიპლომი აღარ იარსებებს მისი საჭიროების არარსებობის გამო — პირველ რიგში იმიტომ, რომ განათლების პროცესი აღარ შემოისაზღვრება გარკვეული დროის ლიმიტით ან სხვა სახის ჩარჩოებით. სავარაუდოდ, იქნება კონკრეტული ცენტრები, სადაც გამოცდების ჩაბარების შედეგად განისაზღვრება ადამიანის განათლების დონე. შედეგზე იქნება დამოკიდებული, დასაქმდება თუ არა პიროვნება სასურველ პოზიციაზე.

— დღეს, თუ გინდა, რომ მაღალი დონის სპეციალისტი გახდე, კონკრეტული ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებაა საჭირო. რა იქნება წარმატებულობის კრიტერიუმები მომავალში?

— იმისათვის, რომ გახდე წარმატებული, უნდა გქონდეს ის მახასიათებლები, რომლებიც რობოტებს არა აქვთ: კრეატიულობა, წარმოსახვისა და ინიციატივის გამოჩენის უნარი, ლიდერის თვისებები. საზოგადოება ნელ-ნელა სავაჭრო ეკონომიკიდან ინტელექტუალურ შემოქმედებით ეკონომიკაზე გადადის. წარმატების მიღწევის გაცილებით დიდი შანსი ექნებათ ქვეყნებს, რომლებსაც შეეძლებათ, დააბალანსონ სავაჭრო ბაზარი და კოგნიტურ-კრეატიული პოტენციალი. ის ერები, რომლებიც მხოლოდ სოფლის მეურნეობის იმედად არიან, განწირულნი არიან სიღარიბისთვის.

— დღეს უმუშევართა რიცხვი ყველაზე დიდია, რაც ოდესმე ყოფილა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ეს მხოლოდ მსოფლიო კრიზისის ბრალია თუ ნაწილობრივ, განათლების სისტემისაც?

— მოქმედი განათლების სისტემა წარსულის სპეციალისტებს ამზადებს. ჩვენ ადამიანებს ვასწავლით იმისათვის, რათა იარონ სამსახურში, რომელიც უკვე აღარ არსებობს, აღვჭურავთ მათ ისეთი ინტელექტუალური ინსტრუმენტებით, რომლებიც უკვე დიდი ხანია მოძველდა და ეფექტურობა დაკარგა. ამიტომაა მსოფლიოში დაუსაქმებელთა ამხელა რაოდენობა.

— რა გავლენას იქონიებს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება ადამიანის ინტელექტზე?

— სავსებით რეალურია, რომ 2050 წლისთვის შეიქმნება ისეთი გონება, რომელიც აღემატება ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელი ყველაზე ჭკვიანი ადამიანის გონებასაც კი. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ, ევროპულმა პროექტმა Human Brain Project, 1-მილიარდიანი ინვესტიციით შექმნა ადამიანის ტვინის უნიკალური რუკა — „Big Brain“, რომელიც აჩვენებს ადამიანის ტვინის დეტალურ სტრუქტურას, 20 მიკრომეტრის სიზუსტით. ასეთი ანატომიური ატლასი არა მხოლოდ გაამარტივებს ნეიროქირურგების ამოცანებს და დაგვეხმარება უმძიმესი დაავადებების განკურნებაში, არამედ მოგვცემს საშუალებას, დავინახოთ, როგორ გადაამუშავებს ტვინი ემოციებს და აღიქვამს ინფორმაციას. ეს არსებითად დააჩქარებს „ზე-გონების“ შექმნის პროცესს. ტვინის ჩიპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის უწყვეტი მიწოდების რეჟიმს, ახლო მომავლის პერსპექტივაა.

◎ დედაქალაქი

სტიქიის შედეგად დაზარალებული ავტომფლობელები ფულად ანაზღაურებას მიიღებენ

მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელმა კარლო ლაფერაძემ 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული ავტომობილების მფლობელებთან ფულადი დახმარების გაცემის შესახებ ხელშეკრულებას ხელი მოაწერა. ხელშეკრულება 27 ფიზიკურ პირთან გაფორმდება, რომლებსაც ფულადი დახმარების სახით, ჯამში 74 450 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში ჩაერიცხებათ.

13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ 100-ზე მეტ ფიზიკურ პირს განადგურებული, ან დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების საფასური ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №33-128 დადგენილების შესაბამისად აუნაზღაურდება.

სატრანსპორტო საშუალება, რომელზეც ფულადი დახმარება გაიცემა, იყოფა ორ კატეგორიად:

I კატეგორიაში შედის სტიქიის შედეგად განადგურებული ავტომობილები, რომლებიც შემფასებლის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით არ ექვემდებარება აღდგენას.

II კატეგორიაში კი შედის სტიქიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შემფასებლის მიერ გაცემული დასკვნის მიხედვით ექვემდებარება აღდგენას.

(შემფასებელი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“.)

წესის შესაბამისად, I კატეგორიას მიეკუთვნება ის დაზარალებული პირები, რომლებმაც სტიქიის დროს დაკარგეს სატრანსპორტო საშუალებები (და გაცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ცნობა.). ამასთან, სატრანსპორტო საშუალების II კატეგორიას მიეკუთვნება სტიქიის შედეგად დაზიანებული სატრანსპორტო საშუალება, რომელიც უკვე აღდგენილია დაზარალებული პირის მიერ.

I კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის რომლის საშუალო საბაზრო ღირებულება ნაკლებია 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარზე — გაიცემა ფულადი დახმარება სატრანსპორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების სრული ოდენობით;

I კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის რომლის საშუალო საბაზრო ღირებულება 5 000 (ხუთი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ტოლია ან მეტია — გაიცემა ფულადი დახმარება სატრანსპორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების 70 %-ის ოდენობით.

II კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებისთვის — გაიცემა ფულადი დახმარება სატრანსპორტო საშუალების სტიქიამდე არსებული სავარაუდო საბაზრო ღირებულების 25 %-ის ოდენობით.

სააგენტო ფულად დახმარებას არ გაუწევს იმ პირებს, რომლებსაც დაზღვეული ჰყავდათ ავტომობილი. ასევე, იმ პირებს, რომლებსაც კერძო სექტორის მხრიდან გადაეცათ ავტომობილები, ან მიიღეს ფულადი დახმარება.

დედაქალაქის გასული წლის კულტურული ცხოვრება შეაჯამეს

თბილისის მერი დავით ნარმანია თბილისის მთავრობის წევრებთან ერთად მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ერთი წლის საქმიანობის ანგარიშის პრეზენტაციას დაესწრო.

ანგარიშის პრეზენტაცია კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა ია მაქაცარიამ ალოიზ მიზანდარის №1 ხელოვნების სკოლაში გამართა. სახელოვნებო სკოლას აღნიშნული შენობა მერიამ გადასცა.

მერიის ინფორმაციით, ია მაქაცარიამ იმ პროექტების შესახებ გაამახვილა ყურადღება, რომლებიც სამსახურმა 2015 წელს განახორციელა. კერძოდ: 2015 წელს ჩატარდა კულტურის მუნიციპალური ობიექტების კვლევა, შემუშავდა რეკომენდაციები და მომზადდა რეფორმის პროექტი. ხელოვნების სკოლებს ფართობები უზუფრუქტით გადაეცათ, მოხდა აღნიშნული შენობების გაზიფიცირება. თეატრალური ხელოვნების ხელშეწყობის მიზნით, ქალაქში დამონტაჟდა თეატრალური აფიშების განსათავსებელი სტენდები. 2015 წელს თბილისში განახლდა არქეოლოგიური კვლევები. კულტურის სხვადასხვა სფეროს განვითარების მიზნით კი ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, 2015 წელს ჩატარებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია, თბილისობის დღესასწაული, საახალწლო ღონისძიებები და სხვადასხვა კულტურული დაწესებულების ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომელიც სწორედ მერიის კულტურის საქალაქო სამსახურისა და კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მეშვეობით განხორციელდა.

„2015 წელი სხვადასხვა ღონისძიებების თვალსაზრისით ძალიან დატვირთული იყო, ასევე ჩვენ მიდგომები მნიშვნელოვნად შევცვალეთ და ეს ყველაფერი შედეგებში აისახა. 2016 წელს ასევე ძალიან ბევრი საინტერესო ღონისძიების განხორციელებაა დაგეგმილი. ტრადიციულად ახალი წლის ღონისძიებასთან, 26 მაისთან და თბილისობასთან ერთად ჩატარდება არაერთი სხვა ღონისძიება, რომელშიც ჩართულები იქნებიან, როგორც ჩვენი ადგილობრივი თეატრების, ხელოვნების წარმომადგენლები, ასევე მოზარდები. ძალიან ბევრ ტურისტს და უცხოელს აინტერესებს თუ როგორია თბილისი კულტურული თვალსაზრისით, ამიტომაც ბევრი ისეთი საინტერესო ღონისძიება იქნება, რომელიც დაამახსოვრდებათ როგორც ჩვენს მოქალაქეებს, ასევე უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს“, — განაცხადა დავით ნარმანიამ.

გმირთა მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელი მოწესრიგებულია

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა გივი კუბლაშვილმა და საბურთალოს რაიონის გამგებელმა ბექა მიქაუტაძემ გმირთა მოედანზე არსებული მიწისქვეშა გადასასვლელი დაათვალიერეს.

13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული გადასასვლელი გაიწმინდა ნარჩენებისგან; სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, აღდგენილია კიბეები და სავალი ნაწილი. მოპირკეთდა მიწისქვეშა გადასასვლელის კედლები და ჭერი, შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა და დამონტაჟდა ახალი სანათები.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„თავისუფალ საქართველოში კანონები უნდა მართავდნენ და არა ინდივიდები“

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი წარსდგა პარლამენტის დეპუტატებისა და ქვეყნის მთავრობის წინაშე ყოველწლიური გზავნილით. თავის სიტყვაში, რომელიც ზუსტად ერთი საათი გრძელდებოდა, პრეზიდენტს პრაქტიკულად არ უსაუბრია უკანასკნელი წლის განმავლობაში ხელისუფლების მიღწევების შესახებ, თუმცა მიუთითა მთელ რიგ პრობლემებზე და აღნიშნა ძირითადი გამოწვევები, რომელთა შორისაც არის მომავალი პარლამენტის არჩევნები. პრეზიდენტის გამოსვლამ დამსწრეთა შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის გამოსვლა პარლამენტში დაიწყო წუთიერი დუმილით. სახელმწიფოს მეთაურმა მოუწოდა დამსწრეებს — დეპუტატებსა და მთავრობის წევრებს, აგრეთვე ელჩებს, რომლებიც აკრედიტებული არიან საქართველოში — პატივი მიაგონ ზურაბ ჟვანიას ხსოვნას, რომელიც ზუსტად 12 წლის წინათ დაიღუპა. გზავნილის ტექსტზე გადასვლის დროს პრეზიდენტმა გააკეთა პატარა უკანდახევა, მიუძღვნა იგი საქართველოს დამოუკიდებლობას, რომელსაც წელს 25 წელი უსრულდება. რაც მეტს ლაპარაკობდა გიორგი მარგველაშვილი, მით უფრო გასაგები ხდებოდა ამ უკანდახევის გზავნილი:

„25 წლის წინათ ჩვენ ერთად შევასრულეთ ჩვენი წინაპრების ოცნება და საქართველო გახდა დამოუკიდებელი. თუმცა გზა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ჯერ კიდევ უნდა გაიარო. ჩვენ უნდა შევქმნათ სახელმწიფო, რომელიც იქნება არა მხოლოდ პოლიტიკურად დამოუკიდებელი, არამედ პოლიტიკურად თავისუფალიც. ეს არის სახელმწიფო, სადაც გარანტირებულია ყოველი მოქალაქის პოლიტიკური და სოციალური უფლებები. ესაა სახელმწიფო, სადაც მართავს კანონები, და არა ინდივიდები“, — ხაზგასმით აღნიშნა პრეზიდენტმა და ოპოზიციური პარტიების დეპუტატების რიგებში გაისმა მოწონებითი ტაში.

სამაგიეროდ ასეთი რეპლიკა, როგორც ჩანს, არ მოეწონა ზოგიერთ დეპუტატს მმართველი უმრავლესობიდან. როდესაც პრეზიდენტის სიტყვის შემდეგ დაიწყო საპარლამენტო ფრაქციების ლიდერების გამოსვლები (დებატები ამჯერად არ გამართულა), ფრაქცია „მრეწველობის“ თავმჯდომარემ, რომელიც შედის კოალიცია „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში, გოგი თოფაძემ, როდესაც სახელმწიფოს მეთაურს მიმართავდა, თითქმის პირდაპირ დასდო მას ბრალი უმადურობაში:

„თქვენ აღმოჩნდით ამ თანამდებობაზე, თუმცა თქვენ, ალბათ, არც გიფიქრიათ ამის შესახებ, რასაკვირველია კოალიციის ლიდერის ბიძინა ივანიშვილის ინიციატივით. და თქვენ ვერც შეიმეცნეთ ეს. პასუხად თქვენ დაიკავეთ რამდენადმე უცნაური პოზიცია და დაიწყეთ მთავრობის კრიტიკა. ეს არ შეეფერება ქართველ მამაკაცს“, — თქვა თოფაძემ.

პრეზიდენტმა ეს სიტყვები კომენტარების გარეშე დატოვა. მაგრამ სახელმწიფოს მეთაურის ნაცვლად გამოვიდა ოპოზიციური ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა — რეგიონები“ ტარიელ ლორთქიფანიძე, რომელმაც „მრეწველის“ გამოსვლას უწოდა „შეურაცხმყოფელი“ არა მხოლოდ პრეზიდენტისთვის, არამედ ქართველი ხალხისთვისაც, რომელმაც მას ხმა მისცა“. ამავე დროს ნაციონალებს პრეტენზიები ჰქონდათ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილისადმიც, კერძოდ, მათ არ მოეწონათ ის, რომ სახელმწიფოს მეთაურმა თავის სიტყვაში არ მოიხსენია სავალუტო კრიზისი.

პრეზიდენტმა, რომელმაც თავისი გამოსვლის დასაწყისში აღნიშნა მთელი რიგი ძირითადი გამოწვევები, რომლებსაც საქართველო გადაეყარა, მათ შორის უკანასკნელი წლის განმავლობაშიც, მართლაც არ გაიხსენა გაუფასურებული ლარი, თუმცა მთლიანად მიუთითა გაჩაღებული კრიზისის მიზეზებზე.

ამავე დროს ბევრმა საქართველოში შენიშნა, რომ პრეზიდენტმა პირველად წარმოსთქვა ტერმინი „რუსეთ-უკრაინის ომი“. მანამდე საქართველოს ხელმძღვანელობის წარმომადგენლები გაურბოდნენ ამგვარ მტკიცებებს.

როდესაც რუსეთზე ლაპარაკობდა, გიორგი მარგველაშვილმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თბილისი კვლავაც შეეცდება, ააგოს მოსკოვთან პრაგმატული ურთიერთობა, რომელიც დაფუძნებული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპზე. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აზრით, რუსეთისთვის ხელსაყრელია ჰყავდეს კავკასიაში მეზობელი — ძლიერი, ერთიანი საქართველოს სახით. ამ დროს პრეზიდენტმა მიუთითა ბრძოლის აუცილებლობის შესახებ საქართველოში რუსეთის მსუბუქ ძალასთან.

როდესაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე ლაპარაკობდა, გიორგი მარგველაშვილმა კვლავ შესთავაზა ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებლებს, ისარგებლონ საქართველოს ევროპული ინტეგრაციის სიკეთით, მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მგზავრობაში, რომელიც, პრეზიდენტის სიტყვებით, შესაძლებელი გახდება უკვე მიმდინარე წელს. ამასთან ერთად, მარგველაშვილმა საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილად დაასახელა იმ პოლიტიკის გაგრძელება, რომელიც მიზნად ისახავს თვითგამოცხადებული რესპუბლიკების უღიარებლობას. პრეზიდენტის სიტყვებით, „თბილისმა ერთი წუთითაც არ უნდა დაისვენოს“.

საგარეო პოლიტიკაში მიღწევებს შორის სახელმწიფოს მეთაურმა დაასახელა ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის მოქმედების გეგმის წარმატებით შესრულება, საქართველოში ნატოს სასწავლო ცენტრის გახსნა და ა.შ.

პრეზიდენტის გამოსვლის დროს პარლამენტის დარბაზში პირველად ესწრებოდნენ მთავრობის წევრები პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის მეთაურობით. აღსანიშნავია, რომ საყვედურები უკანასკნელთან მინისტრებს არ ჰქონიათ. მთავრობის მეთაურმა პრეზიდენტის გამოსვლას უწოდა „მეტად საინტერესო, რომელშიც გაკეთდა ბევრი მნიშვნელოვანი აქცენტი“.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

დედამიწის ზურგზე

დედამიწისკენ მოფრინავს ჩელიაბინსკისაზე ორჯერ უფრო ძლიერი ასტეროიდი, გვაფრთხილებს ნასა

პლანეტასთან ყველაზე ახლოს — 17 ათასი კილომეტრის მანძილზე — ასტეროიდი გადაფრინდება 2016 წლის 5 მარტს. მოცულობით იგი 10 მეტრით მეტია „ჩელიაბინსკის მეტეორიტზე“. თუ შემოვა პლანეტის ატმოსფეროში, იგი მოახდენს ორჯერ უფრო ძლიერ აფეთქებას.

ინდურმა ფარმაკომპანიამ განაცხადა ზიკის ვირუსის წინააღმდეგ ვაქცინის შექმნაში გარღვევის შესახებ

Bharat Biotech-ის წარმომადგენელთა სიტყვებით, მათ დაიწყეს ვაქცინის დამუშავება 1 წლის წინათ, რამაც უზრუნველყო მათი უპირატესობა კონკურენტების წინაშე. ამჟამად კომპანიას აქვს ორი დამუშავება, რომელთაგანაც ერთი — ინაქტივირებული ვაქცინა — უკვე გადის კლინიკამდელ გამოცდას ცხოველებზე.

ექს-სენატორი სანტორუმი გამოვიდა წინასაარჩევნო რბოლიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან რუბიოს დაუჭირა მხარი

მარკო რუბიომ აიოვაში კენჭისყრის დროს მესამე ადგილი დაიკავა, მხოლოდ ოდნავ ჩამორჩა მილიარდერ დონალდ ტრამპს. პირველი, ეპატაჟური მილიარდერი სამწუხაროდ, გახდა ტედ კრუზი. რბოლიდან გამოსული სანტორუმი სულ ბოლოში იყო, მაგრამ მისი ერთი პროცენტი დაეხმარებოდა რუბიოს, გათანაბრებოდა ტრამპს.

ჩრდილოეთი კორეა ემზადება ბალისტიკური რაკეტის გასაშვებად, მიაჩნიათ ექსპერტებს

ტოხჩან-რის პოლიგონის სათანამგზავრო სურათების ანალიზმა საშუალება მისცა სპეციალისტებს ევარაუდათ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას განზრახული აქვს აღმოსავლეთ სანაპიროდან გაუშვას საბრძოლო ბალისტიკური რაკეტა. შენიღბვის მოწყობილობანი არ იძლევიან საშუალებას, განსაზღვრო რაკეტის ტიპი. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება იყოს „ნოდონი“ 1,5 ათასი კილომეტრის ფრენის სიშორით.

უკრაინის ეკონომიკური განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე თავისი შეფის კვალდაკვალ გაღაღდა

„მე არ ვიხსნი პასუხისმგებლობას მუშაობის გაგრძელებისათვის რეფორმებზე. მე ჯერ კიდევ არ ვიცი, თუ ვინ იმუშავებს ამაზე, მაგრამ ძალისხმევას არ დავიშურებთ, რათა რეფორმები შედგეს. მე გუნდთან ვრჩები“, — განაცხადა იულია კოვალივმა, რომელმაც აღიარა, რომ მის მიერ შეთავაზებული გუნდის სტრატეგიული პრინციპები ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, „სამწუხაროდ, ერთ ადგილზე გაიყინენ“.

ტრამპის თვითმფრინავი ძრავასთან დაკავშირებული პრობლემის გამო ელვისებურად დაჯდა

ბოინგ 757, რომლის პატრონიც პრეტენზიას აცხადებს პრეზიდენტის პოსტზე თეთრ სახლში, ელვისებურად დაჯდა ამერიკის ქალაქ ნეშვილის აეროპორტში. მას მოუწია გაეუქმებინა არკანზასის გუბერნატორთან შეხვედრა, ხოლო შემდგომ წინასაარჩევნო მიტინგზე 2 საათით დაიგვიანა.

◎ ᲠᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲝᲡ!..

ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოუმის გამზრდელო!

ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ტებენეს ხეობის ერთ-ერთ გორაკზე ვიდექით მე და ჩემი მეგობარი ვალერი კანკია. დასავლეთით შავი ზღვის ტალღებში იძირებოდა ჩამავალი მზე, ჩრდილოეთით ოხაჩქუეს მთაგრეხილი დაგვცქეროდა თავზე. აღმოსავლეთით ენგური ბორგავდა. სამხრეთით მთელი კოლხეთი განფენილიყო და თეთრ-ქულა ღრუბელი „ჩაღვრილიყო“ ხეობებში.

— საოცარია ბუნება, მზეს, ხეობებსა და ღრუბლებს ვხედავთ ერთობლივად!.. არადა, როცა ღრუბლები მეფობენ, ხილვადობა ნაკლებია, ხოლმე!..

— ყველაფერმა იცვალა ნირი, ჩემო ვალერიან... ბუნებამ კი არა, ადამიანებმა შეიცვალეს იერი. მე და შენ პატარები არა ვართ უკვე და, გვახსოვს, საბერიო-მუჟავას სანახებს რომ მოუყვებოდნენ ცხენებით აფხაზი მორდუ-ხანულები და ჯვარში და ლიაში ერთი კვირა გრძელდებოდა ლხინი და თარჩია!...

— მახსოვს, მახსოვს!... მამაჩემმა, დოროთე კანკიამ ლექსად თქვა ამ ძმობაზე, — „...ტებენეშე მორდუ ჯიმა, ჯიმას დოხვად ჯიმაფილო, გურშა ქიხუტოლუანც, — ქიგგალე, გოლვაფირო!...“ — „...ტებენედან მომავალი, მორდუ მორდუს ეფერება, გულში იკრავს ჩახუტებულს, — შემოგევლე, გენაცვალე!“...

— ქართული ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი პაატა ცხადაია თავის შესანიშნავ კრებულში „ტებენეს“ ასე განმარტავს: — ხალხური ეტიმოლოგიით ამ მდინარეს და გარემოს ტებენე იმიტომ ჰქვია, რომ თურმე, აფხაზთა და მეგრელთა სოფლებს ყურსალები შემოსევიათ და ტყვეები წაუსხამთ, მაგრამ განა, ტყუილად ეძახდნენ კოლხეთში აფხაზებს „ჩქინ აფხას“, მეგრელებს კი, „მარგალს“, მრგველთ?.. ისინი დასაბამიდან იყვნენ ერთიანი საქართველოს განუყოფელი, ძლიერი მხარბეჭი და მრგველნი, ქვეყნის ამყვავებელნი, ჩვენი სიძლიერისა და ერთგულების სიმბოლო!... ჰოდა, ყურსალებიც გაუჟუჟავთ ერთად დგომით და ტყვე ქალები და ბავშვები გაქცეულან, — „ნტებენა“ თავიანთ სახლებში!... იმასაც ამბობენ, ტყიან ადგილსაც ჰქვიაო ტებენე, მაგრამ მე უფრო პირველი ვარიანტი მგონია მართალი!....

— ვინ იცის ძმაო, ასე იყო თუ ისე, მაგრამ ერთი ცხადია, აფხაზთა და მეგრელთა ძმობაში ეჭვს ვერ შეიტანს ჭკუათმყოფელი... ჩვენი ძმობა უდრეკი იყო მუდამ და ამიტომაც ძლიერობდა ერთიანი საქართველო... ერთი სისხლისა და ერთი ხორცისანი ვართ და მტერსაც ერთად ვებრძოდით.... დღეს კი, ძმათა მოსანახულებლად ვერ გადავსულვართ აფხაზეთს, თორემ, ჩემს აფხაზ ძმას, ედუარდს, ვინახულებდით გაგრაში... დემირჯიბას!..

...დიდხანს ვდუმდით გულდაწყვეტილ კაცთა დუმილით. ენგურიდან ცრემლგამჯდარი ხმების ამოგორებით გვიპასუხა აფხაზეთიდან მონაბერმა ნიავმა.

...ცის გუმბათზე ლოცვად შეიკრა „ოდოია“.

ათასობით წლების წინათ უმღეროდა ხალხი ამ საგალობელს მარგალ-აფხაზთა და, კოლხთა უზენაეს ღმერთებს — „ოდოს“ და „რა-იდას“!

...ამ ჰარმონიით და განცდით ჩავუყევით სევდიან ბილიკს ფახულანისკენ.

...და ფახულანთან გადავცურეთ ბობოქარი ენგური!..

...ეს იყო ამ რამდენიმე წლის წინათ!... ახლა კი, ენგურჰესის სამმართველოს ერთ მყუდრო ოთახში ვზიავართ და ვიგონებთ ტებენეს, „ოდოიას“ და „ვოისარაიდას“.

ვალერი „შპს ენგურჰესის“ ფინანსური დირექტორია.

დამირეკა: — ...ზაურ, თუ დრო გაქვს, გამომიარე, ერთი!... სევდიანი ამბავი მინდა მოგიყვე.... ისეთ ხასიათზე ვარ, ძალიან მინდა, მეგობარი მყავდეს გვერდით!... — ნაღვლიანი მეჩვენა მისი ხმა.

ოთახის კუთხეში თაფლის სანთელი ენთო. ვალერი, თითქოს, ლოცულობსო, თავდახრილი იდგა.

— რა იყო? რა დაგემართა?...

მომიბრუნდა და მოულოდნელად მკითხა:

— გახსოვს, ტებენეში ედუარდ დემირჯიბა, რომ ვახსენე?...

— რა თქმა უნდა!...

— ორი წლის წინათ გარდაცვლილა ედუარდი!... მე ახლა გავიგე!..

შევწუხდი მეგობრის წუხილით. ძმა უწოდა ვალერიმ ედუარდს ტებენეს სანამდვილი ძმები!... სოხუმის ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ხე-ტყის მრეწველობის აფხაზეთის სამშენებლო სამმართველოს ბუღალტრად. სამმართველოს, აფხაზეთის მთებში გზები გაჰყავდა... ოთხი უბანი ჰქონდა, მათ შორის, კუშკს-იასტას უბანს ყველაზე ახალგაზრდა უბნის უფროსი ჰყავდა, ედუარდ დემირჯიბა, ცნობილი აფხაზი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ოთარ დემირჯიბას ვაჟი!... იმ წელს სამმართველო ბზიფში გადაიტანეს და გადავწყვიტე სამუშაოსთვის თავი დამენებებინა, მაგრამ ედუარდმა იმდენი მანამუსა, რომ დამიყოლია... მე გაგრაში, დემირჯიბას ქუჩაზე დავიდე ბინა. იქვე ცხოვრობდა ედუარდის ოჯახიც, მამამისის სახელობის ქუჩაზე!... ედუარდის მამა უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა და თავისი პოეზია და სახელი დარჩა ამ ქვეყნად. ...ფაქტობრივად, ამ ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი იმ წლებში... ედუარდის დედა და ბებია შვილივით მივლიდნენ და ღვიძლ შვილად მთვლიდნენ. მთელი სამი წელიწადი ვიცხოვრე და ვიშრომე ედუარდის გვერდით.

ერთმა შემთხვევამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი ძმობა!

...ივნისის თვე იყო. მე და ედუარდი ახალი გაგრის სანაპიროზე ვსეირნობდით, როცა ერთი წივილ-კივილი ატყდა პლაჟზე. წიოდა ქალბატონი, მიშველეთ, მიშველეთ, შვილი მეხრჩობაა!

ედუარდმა წამიერად იწყო ტანსაცმლის გახდა, მაგრამ მე დავასწარი და ტალღებში გადავეშვი. ცურვით მივუახლოვდი „განწირულს“ და ის 14 წლამდე მოზარდი ქალიშვილი აღმოჩნდა... მოვახერხე და ზურგზე მოვიგდე!... ნაპირთან ახლოს, საუბედუროდ, ბეტონის კედელს მიგვახეთქა ტალღამ და... ორივეს ედუარდმა გვიშველა... ჩვენი გადარჩენილი გოგონას მშობლები ყარაგანდელები აღმოჩნდნენ... გოგონა სამი თუ ოთხი დღე დარჩა საავადმყოფოში, მე კი თითქმის ერთი კვირა მკურნალობდნენ ექიმები. ...ყარაგანდელები მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყვნენ თავიანთ ქვეყანაში, მაგრამ საავადმყოფოდან ჩემს გამოწერამდე დარჩნენ გაგრაში... ასე დავმეგობრდით ყაზახები და ქართველები!... მეგობრობამ მეგობრობა შვა!... მერე, ყარაგანდიდან მაშველთა კორპუსის მადლიერების წერილი და ჯილდო მივიღეთ. თან, გოგონას მშობლები უზბეკეთის საოფლო-სამეურნეო ინსტისტუტის პროფესორები იყვნენ და სასწავლებლად გვეპატიჟებოდნენ.... ედუარდს მოეწონა ეს წინადადება და ჩემს დაუკითხავად შეედგინა ჩემი საბუთები და უკვე გადაეგზავნა... ასე გავხდი ცელინოგრადელი სტუდენტი!... ეს კიდევ არაფერი, გადიოდა წლები და მთელ სწავლის პერიოდში ვღებულობდი ედუარდის მიერ „დანიშნულ“ სტიპენდიას!... ღვიძლ ძმასავით ზრუნავდა ედუარდი ჩემზე!... დავბრუნდი საქართველოში, და თბილისში გადმოვედი სამუშაოდ, მივიღე ბინა და ჩემს ცხოვრებას კვლავინდებურად ამშვენებდა ჩემი და ედუარდის მეგობრობა!..

...ოთხმოცდათიანი წლების უბედურებამ დაგვაშორა!... თუ სასწაული მოხდებოდა და ვინმე ქართველს ნახავდა „იქით მხარეს,“ ყველას ეხვეწებოდა, ვალერის მიაწვდინეთო ჩემი ხმა... ამ ბოლო ხანებში, კომპიუტერულმა ტექნიკამ, თითქოსდა, კავშირი აღადგინა და ჩემმა შვილებმა შეძლეს დაკავშირებოდნენ ედუარდის შვილებს, მაგრამ... მეხი დამეცა, თითქოს!... ჩვენი შვილები ესაუბრნენ ერთმანეთს!...

— მამა არა გვყავს!... ორი წლის წინათ გარდაიცვალა... სიკვდილის წინ ვალერი ბიძია ენატრებოდა... ვალერიმ რომ იცოდეს ჩემი ავადმყოფობის ამბავი, ფეხით ჩამოვიდოდაო, ამბობდა!....

...ცრემლი ანუგეშებს ადამიანს, მაგრამ ცრემლი ვერ მოაბრუნებს წარსულს!

შევცქეროდი ჩემს მეგობარს და მხოლოდ ეს შევძელი მეთქვა:

— მეტი რა დაგრჩენია, ჩემო ძმაო?... მეგობრის შვილებთან მხოლოდ ელექტროკავშირი!...

— ძმობას ვერაფერი აღუდგება წინ, ისევე, როგორც აფხაზთა და ქართველთა მეგობრობას ვერაფერი მოშლის, მაგრამ ეს ვერ გამიცოცხლებს ჩემს აფხაზ ძმას, და უბედურება ესაა!.. ვითომ, დაგვადგება საშველი?... ძალიან გამიჭირდა ამ სევდის აწევა მარტოს და ამიტომ მოგიშველიე შენ!...

ვერაფერი ვუპასუხე! დიდხანს ვისხედით ცრემლით სავსე გულებით და მხოლოდ „ოდოიას“ და „ვოისა-რაიდას“ სევდიანი ჰანგები გვამშვიდებდა!

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ

ᲨᲞᲡ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲢᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠ ᲔᲙᲝᲚᲝ�გᲘᲡ“ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

2016 წლის 30 მარტს 14:00 საათზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №73) გაიმართება შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრ ეკოლოგის“ სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის — ინსინერატორის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობა.

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება, ს/კ 81.07.14.075.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- გარდაბნის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა, ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №73;
- შპს „საქართველოს სამედიცინო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების უტილიზაციის ცენტრ ეკოლოგის“ ოფისი, ქ. თბილისი, ლარსის შეს. 35; ტელ: (+995) 599- 383-709;
- შპს „ჯეოკონის“ ოფისში — ქ. თბილისი, კეკელიძის ქ. №62-64. ტელ: (+995) 599-540-208.

საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე, მისამართზე: ქ. თბილისი, ლარსის შეს. 35, საკონტაქტო პირი: ვახტანგ წერეთელი, ტელ.: (+995) 599-383-709. ელ. ფოსტა: vakhotsereteli@gmail.com

◎ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ

ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲔᲚᲘ ᲜᲐᲠᲙᲝᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ

ᲨᲡᲡ-Ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი ხ. სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანში დააკავეს.

სამართალდამცველებმა გურამ მ-ს პირადი ჩხრეკისას ორი აბი „სუბოქსინი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,016 გრ. ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებით გიორგი ხ-ს სისხლში ბუპრენორფინის კვალი აღმოჩნდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ᲧᲝ-ᲔᲝᲩ-ᲔᲜᲝ

◎ ჩოგბურთი

დღეს დიდი ბრძოლა გვაქვს

უკვე გაუწყეთ, რომ ეილათში (ისრაელი) ფედერაციის თასზე საასპარეზოდ საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა გუნდთან (სოფიო შაფათავა, ეკატერინე გორგოძე, სოფიო ქვაცაბაია, ოქსანა კალაშნიკოვა, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ერთად ევრო-აფრიკული პირველი ზონის 13 ქვეყნის ნაკრები ჩავიდა. ისინი მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფის ორი საგზურისთვის უპირისპირდებიან ერთმანეთს. ჩვენებმა B ჯგუფში უკვე გამართეს პირველი შეხვედრა სამხრეთ აფრიკასთან და 3:0 გაიმარჯვეს: ეკატერინე გორგოძემ მადრი ლე რუს მოუგო – 6:3, 6:1, სოფიო შაფათავამ ჩანელ საიმონსს აჯობა - 7:5, 6:4, ხოლო წყვილებში გორგოძემ და ოქსანა კალაშნიკოვამ ილზე ჰატინგი და მიშელ საიმონსი დაამარცხეს – 6:4, 7:6 (ქართველმა ჩოგბურთელებმა სამხრეთაფრიკელებს 2014 წელსაც სძლიეს შიაულიაიში 2:1 და მაშინ მეორე ევროაფრიკული ზონიდან ერთი საფეხურით დაწინაურდნენ).

ჩვენს ჯგუფში ფავორიტები არიან ბრიტანელები. მათი ლიდერი ჰიზერ უოთსონი ერთეულთა კლასიფიკაციაში 85-ეა, ენ სმიტი და ჯოსელინ რაე კი წყვილებში 68-ე ადგილს იყოფენ. საქართველო და დიდი ბრიტანეთი დღეს გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას. მსოფლიო ჯგუფის საგზურისთვის პლეი ოფში B ჯგუფის გამარჯვებული D ჯგუფის პირველადგილოსანს შეხვდება. აქ აშკარა ფავორიტია ბელგია, რომლის ღირსებასაც იცავენ ალისონ ვან იუტვანკი (ერთეულებში 43-ე, წყვილებში 110-ე), ანსოფი მესტაში (152-ე, 64-ე), იასელინ ბონავენტური (160-ე, 57-ე) და მარი ბენუა (277-ე, 442-ე).

პირველი ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები:

A **ჯგუფი**. უკრაინა – პორტუგალია 3:0;

C **ჯგუფი**. ხორვატეთი – ესტონეთი 2:1, თურქეთი – ისრაელი 2:1;

D **ჯგუფი**. ბელგია – ლატვია 3:0, ბულგარეთი – უნგრეთი 2:1.

ჯგუფების პირველადგილოსნები პლეი ოფში გავლენ, ხოლო ბოლო ადგილებზე გასული გუნდები პირველ ზონაში დასარჩენად იბრძოლებენ.

ლექსო ციინცაძე

◎ ლეგიონერი

ფაჩულიამ სეზონის 22-ე დუბლი „მაიამისთან“ მიითვალა

„დალას მავერიქსის“ ქართველმა ცენტრმა სეზონის 22-ე დუბლი მიითვალა. ზაზა ფაჩულიამ „მაიამის“ წინააღმდეგ დალასში გამართულ შეხვედრაში შედეგიანად ითამაშა, თუმცა, დასანანია, რომ „მავერიქსმა“ შეხვედრა 3 ქულით – 90:93 დათმო.

ზაზამ თამაში სასტარტო ხუთეულში დაიწყო და მოედანზე 39 წუთი გაატარა. ქართველმა ცენტრმა 7 ცდიდან 4 ორქულიანი ჩააგდო, 5 საჯარიმოდან კი კალათში მხოლოდ 2 მოათავსა. ფაჩულიამ კარგად იმუშავა ფარქვეშ და 10 ქულასთან ერთად მატჩში უმეტესი 15 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. ზაზას თანამებრძოლმა დირკ ნოვიცკიმ 35 წუთში 28 ქულა მოაგროვა, ჩანდლერ პერსონსის ანგარიშზე კი 12 ქულა დაგროვდა. ბოლო წამებზე ტეხასელებს შეეძლოთ გათანაბრება, მაგრამ რეიმონდ ფელტონის სამქულიანი კალათში არ ჩაეშვა.

28 მოგებითა და 24 მარცხით „დალასი“ დასავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზეა. მომდევნო მატჩი „მავერიქსს“ თანაშტატელთა მძლავრ გუნდთან „სან ანტონიოსთან“ ელის, რომელიც დალასში ხვალ გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ სეზონის წინ

„რენომ“ თავისი სარბოლო ავტომობილი - RS16 გაგვაცნო



„რენოს“ ფორმულა 1-ის გუნდმა პარიზში, საკუთარ ტექნოცენტრში გამართულ პრეზენტაციაზე თავისი სარბოლო ავტომობილი RS16 წარადგინა. თუმცა, პრეზენტაციაზე ითქვა, რომ ეს ავტომობილი მხოლოდ იმ გაფორმებას გვიჩვენებს, როგორიც მას ტესტირებისას ექნება, სარბოლო ვერსია კი განსხვავებული უნდა იყოს. მმართველმა დირექტორმა სირილ აბიტბულმა ბოლიდს „შოუქარი“ უწოდა.

„რასაც ახლა ხედავთ, ეს უფრო საჩვენებელი ავტომობილია. რეალური მანქანა ჯერაც შემუშავების პროცესშია. მის დაქოქვას შემდეგ კვირაში ვაპირებთ. ტესტების წინ რეალურ ავტომობილს წარვადგენთ. ეს იქნება არსებული შასის ევოლუციურ ვერსიაზე აწყობილი მანქანა, რომელსაც „რენოს“ ძრავი და შეცვლილი აეროდინამიკა ექნება“, – განაცხადა აბიტბულმა.

ტექნიკურმა დირექტორმა ნიკ ჩესტერმა, ვინც შასიზეა პასუხისმგებელი, განაცხადა, რომ გუნდმა „ლოტუსისგან“ კარგი საბაზო კონსტრუქცია მიიღო, რომელსაც განვითარების სოლიდური პოტენციალი აქვს. მან აღნიშნა, რომ „ლოტუსი“ ფინანსების ნაკლებობის გამო ვერ ახერხებდა თავისი ბოლიდის განვითარებას, თუმცა, ამის მიუხედავადაც, კონკურენტუნარიანობას ავლენდა.

ჩესტერი ამბობს, რომ დროის სიმცირის გამო ბოლიდის აეროდინამიკაზე ინტენსიური მუშაობა ვერ მოხერხდა, მაგრამ მანქანა კარგი მართვადობით გამოირჩევა და განვითარების დიდი რესურსი გააჩნია, რასაც გუნდი სეზონის განმავლობაში აითვისებს.

სხვათა შორის, ძალური დანადგარის შეცვლამ შასის გადაკეთება მოითხოვა, რაც ძალიან სწრაფად განხორციელდა, რათა ავტომობილის შექმნის პროცესი არ შეფერხებულიყო. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ აეროდინამიკის სათანადოდ დამუშავება ვერ მოხერხდა.

კოგა კოგახიძე

◎ პრესტიჟი

„შახტარმა“ არაბიძე ევროპალიგის განაცხადში შეიყვანა

დონეცკის „შახტარის“ ახალგაზრდა ქართველ შემტევს გიორგი არაბიძეს მიმდინარე სეზონში ევროპის ლიგის პლეი ოფის მატჩებში მონაწილეობის შანსი ექნება. უკრაინულმა კლუბმა მომავალი შეხვედრებისთვის უეფაში ოფიციალური განაცხადი გაგზავნა და მირჩა ლუჩესკუს რჩეულთა შორის ქართველი ფეხბურთელიც მოხვდა.

„შახტარი“ ევროპის ლიგის 1/16-ფინალში 18 და 25 თებერვალს გელზენკირხენის „შალკეს“ დაუპირისპირდება.

გიორგი არაბიძე „შახტარის“ ძირითად გუნდთან ერთად ამ ზამთარს აშშ-ში გამართულ შეკრებაზე იმყოფებოდა, ამჟამად კი ესპანურ შეკრებაზეც რუმინელის განკარგულებაშია.

გიორგი ზოთაძე

◎ სანთელი

სულხან თათეიშვილი

მაშინ, როცა დიდი ქვეყნის პატარა რესპუბლიკას ულხინდა, საკავშირო დაქვემდებარების ქარხანა „მიონის“ თანამშრომლები შრომაშიც გამორჩეულნი იყვნენ და სპორტშიც, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მწვრთნელ მიხეილ ხუციშვილის მიერ შეკრული საფეხბურთო გუნდი წარმატებით იცავდა პრესტიჟული საწარმოო გაერთიანების ღირსებას. ჯიგრიანი თამაში – ეს გახლდათ „მიონის“ (მოგვიანებით „დიღმის“) საფირმო ნიშანი, რომელსაც ეროვნულ ჩემპიონატში ასპარეზობის პატივიც ხვდა წილად.

დაცვის ბურჯი – ასეთად დაგვამახსოვრა თავი პარტნიორთა შორის ერთ-ერთმა ასაკოვანმა და დაღვინებულმა უკანახაზელმა **სულხან თათეიშვილმა,** რომელმაც ასევე თავგანწირულ, ფიცხ მეწყვილესთან, კარიერის დასრულების შემდეგ სამწვრთნელო სარბიელზე დაფასებულ და აღიარებულ სპეციალისტთან მერაბ კოჭლაშვილთან ერთად ლიბეროსა და სტოპერის ისეთი დუეტი შექმნა, რანგით უფრო მაღალი გუნდის მესვეურებიც რომ ინატრებდნენ.

დგანან: მარცხნიდან – გურამ პავლიაშვილი, გოგა სახლთხუციშვილი, სულხან თათეიშვილი, პაატა პაპიაშვილი, მერაბ კოჭლაშვილი, გია ჯანელიძე.

| რიგში: დათო ნიძაბაძე, გოგი თვალიაშვილი, თემურ დოლიძე, დათო ჯაფარიძე, სლავა ინასარიძე.

დიდთან დიდი, პატარასთან პატარაო – თითქოს სწორედ უანგარობისა და მეგობრობის განმასახიერებელ ამ პიროვნებაზე იყო ნათქვამი. ამაში დაგვეთანხმება ყველა, ვინც ქიციც იცის და ქიცმაცურიც და ერთხელ მაინც უნახავს ჩვენი ძმა როგორც სტადიონზე, ისე საყვარელ უბანსა და მამაპაპურ სუფრაზე თანამეინახეებთან ერთად.

მართლაც სამწუხაროა, რომ მისი სიცოცხლე ორმოცი დღის წინათ ასე ნაადრევად შეწყდა. მხოლოდ ის გვამშვიდებს, რომ ამიერიდან უკვდავებაში გადასული სულხანი და ჩვენი ძველი ტკივილი, აფხაზეთის ომიდან თავაწეულად დაბრუნებული და დედაქალაქში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპული პაატა პაპიაშვილი მარადიულ საუფლოშიც ერთად იქნებიან.

მეგობრები

◎ ინტერნეტიდან

მარია შარაპოვამ პუტინისტები გააბრაზა

საუკუნეთა განმავლობაში ბირთვისის აუღებელ ციხეს არ შესევია იმდენი მტერი და დუშმანი, რამდენიც რუს მეჩოგნეს მარია შარაპოვას ამ ბოლო სამ დღეში. თავისი თანამემამულენი რაში არ დებენ ბრალს ამ ჩვენს მარიჩკას, მოღალატეობიდან დაწყებული და ამერიკის აგენტობით დასრულებული.

როგორც იცით, მარია შარაპოვამ დიდი გამბედაობა გამოავლინა და საჯაროდ განაცხადა, რომ კარგად იცის და ხედავს, თუ ვინაა მისი ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი და სანამ პუტინი რუსეთის პრეზიდენტი იქნება, იგი რუსეთის სახელით არც ოლიმპიადაზე და არც სხვა ტურნირებზე არ გამოვა.

რამდენად აასრულებს მარია შარაპოვა ამ შესანიშნავ დანაქადნებს – ამას სულ მალე ვნახავთ. მანამდე კი თქვენც შეგიძლიათ შეხვიდეთ სხვადასხვა რუსულენოვან ინტერნეტ-ფორუმზე და დატკბეთ ჩვენი „თბილი“ მეზობლების კომენტარების ხილვით, რომლებიც აშკარად ვერ არიან ხასიათზე. მრავალჟამიერ!

როსტომ რაჭველიშვილი

◎ უფასო კვება

სოფლად მცხოვრებმა სოციალურად დაუცველებმა რაღა დააშავეს?

უფასო კვების სერვისით, **რომელსაც ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანებისთვის შექმნილი პროგრამა ითვალისწინებს, კახეთის ბევრ რაიონში მხოლოდ ქალაქად მცხოვრებნი სარგებლობენ. გადაადგილების პრობლემის გამო სოფელში მცხოვრები უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობა ამ პროგრამაში ჩართვას ვერ ახერხებს.**

ასეა გურჯაანშიც. აქ უფასო სასადილოთი ქალაქად მცხოვრებნი სარგებლობენ. ის, ვინც სოფლადაა, პროგრამაში ვერ ერთვება, რადგან სოფლიდან ქალაქში ვერ დადის. მათ შორის არის ველისციხეში მცხოვრები ლამარა დათუნაშვილი:

„მე გურჯაანში ვერ ვივლი. მადლობელი ვიქნები, თუ ჩემს სოფელში, ველისციხეში, გაიხსნება სასადილო. დღეში ერთხელ მაინც მექნება საშუალება, გამოვიკვებო ან სახლში მოვიტანო“.

70 ადამიანზეა გათვლილი ლაგოდეხის უფასო სასადილო. გურჯაანის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მომხმარებელი მხოლოდ ქალაქის მოსახლეობაა. ლაგოდეხის ზოგი სოფელი რაიონული ცენტრიდან 20-25 კილომეტრითაა დაშორებული, ამიტომ სოფლად მცხოვრებნი სასადილოში ვერ დადიან. ლაგოდეხის უფასო სასადილო ადგილობრივი ბიუჯეტიდან წელიწადში თითქმის 50 ათასი ლარით ფინანსდება. როგორც სასადილოს ხელმძღვანელმა **თამილა მელითაურმა** გვითხრა, ეს თანხა 70 ადამიანის სრულფასოვანი კვებისთვის საკმარისია. მელითაური ამბობს, რომ, თუ თვითმმართველობა გადაწყვეტილებას მიიღებს და პროგრამაში სოფლის მოსახლეობის ჩართვაც იქნება შესაძლებელი, მზად არის სხვებსაც მოემსახუროს:

„ეს გამგეობის პრეროგატივაა, რამდენად აქვთ უფლება და შესაძლებლობა, რომ ამ პროგრამაში სოფლებიც ჩასვან. ჩვენ სხვებსაც გავუმასპინძლდებით, რადგან მნიშვნელობა არა აქვს, სოფლიდან იქნებიან თუ ქალაქიდან. მე ვამბობ ხოლმე, რომ როცა მოხუცი ხარ, ეს უკვე სტატუსია სოციალურად დაუცველობისა, რადგან ზოგს პროდუქტებიც აქვს, მაგრამ საჭმლის კეთება აღარ შეუძლია“.

სოფლებში ულუკმაპუროდ დარჩენილი ადამიანები უფასო კვების პროგრამით რომ ვერ სარგებლობენ, კარგად იციან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში. ჯანმრთელობის და სოციალური საკითხების მთავარი სპეციალისტი **ლევან ხარაშვილი** გვეუბნება, რომ გამგეობა აპირებს სოფელ აფენში მეორე უფასო სასადილო გახსნას, თუმცა, საკითხი ჯერ საკრებულომ უნდა განიხილოს:

„წლების განმავლობაში ასე იყო და არის, რომ უფასო კვების ობიექტით ქალაქის მოსახლეობა სარგებლობს. 2015 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „საგასთან“ ერთად პროექტზე ვმუშაობთ. ამ ორგანიზაციამ შენობა გაარემონტა სოფელ აფენში, სადაც უფასო სასადილოს გახსნა გვინდა. ახლა პროცედურულად საკითხი საკრებულომ უნდა განიხილოს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში კი აფენში სასადილო გაიხსნება, რომელიც აფენთან ერთად მიმდებარე სოფლებს მოემსახურება. სულ 40 ადამიაზე იქნება გათვლილი“.

უფასო სასადილოების ადმინიტრაციაში გვეუბნებიან, რომ ხალხი, რომელიც ამ სერვისით სარგებლობს, შეიძლება ითქვას, შინ საკვების გარეშე არიან დარჩენილნი, ამიტომ პროგრამის მუშაობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

გიორგი ალადაშვილი
რადიო „თავისუფლება“

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● ვინ მიიწვია სპექტაკლზეო, ვის რა ფერის შუბა და ნიფხავი ეცვაო, ვინ ვისზე წინ იჯდაო და ათასი უბედურება. კაცმა საშვილიშვილო საქმე გააკეთა, ათობით მილიონი დახარჯა და ქვეყნის ალბათ ყველაზე საამაყო შენობა-ნაგებობა (ტაძრების გარდა, რა თქმა უნდა) აღადგინა და დაამშვენაო, მხოლოდ ერთეულებმა თქვეს. რა ხალხი ვართ ასეთი, მეასეხარისხოვნით უმთავრესის გადაფარვა შეგვიძლია. უსუფა, თიკინა და ბესელა გაივლიან ხალიჩაზე და ხვალ არაის ემახსოვრება. ეგ რესტავრირებული ოპერის თეატრი კი კიდევ მინიმუმ საუკუნე იქნება საამაყო.

● ერი, რომელსაც სჭირდება კონსტიტუციაში შეიტანოს მუხლი, რომ კაცი არის კაცი და ქალი არის ქალი, რომ ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა, ფაქტობრივად, გადაშენების (განადგურების კი არა, სწორედაც რომ გადაშენების) წინაშე დგას!

● „ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს: თუ გსურთ, მწეველებმა თავი დაანებონ ამ მავნე ჩვევას, ნუ დააწერთ კოლოფზე — „მოწევა კლავს„!... მათ არ ეშინიათ სიკვდილის და მაინც ეწევიან! თქვენი კეთილშობილური მიზნის მისაღწევად სრულიად საკმარისი იქნება ასეთი წარწერა: „სიგარეტის გაყიდვით შემოსული თანხა მოხმარდება საქართველოს პარლამენტის წევრების ცხოვრების კეთილმოწყობას და მათი კომფორტის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, ასევე „ლგბტ“ საზოგადოების დაფინანსებას“.

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

მეუღლე ამირან როგავა, ძმისწულები დავით, ლევან ჟორჟოლიანები, რძალი ეკა გოგიბერიძე, მაზლები დავით, სულიკო როგავები, მულიშვილი თამარ ჯანვერდაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლალი დავითის ასული ჟორჟოლიანი

პანაშვიდი 5, 6 II, 17 სთ. გამოსვენება 7 II, 14 სთ. მისამართი ი. ჭავჭავაძის გამზ. №75 ბ, სადარბაზო I, ბინა 9.

ძმა სულიკო როგავა ოჯახით — მეუღლე ანნა, შვილი ვალერი, რძალი სტელა, შვილიშვილები ანასტასია, ირინა ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ და განვიცდით ტკივილს ამირან როგავას მეუღლის, გამორჩეული, მეტად თბილი და ყურადღებიანი ადამიანის

ლალი ჟორჟოლიანის

გარდაცვალების გამო. ამ მწუხარების ჟამს, გულწფელად თანავუგრძნობთ ჩვენს ძვირფას ამირანს, მიცვალებულის ნათესაობას, ახლობლებს და მეგობრებს. ნათელში ამყოფე ღმერთო ლალის სული!

ალეკო კაკულია, ზურაბ კახნიაშვილი, ოთარ შენგელია, გია გვარამია, ჟულიენ ბუბაშვილი, ოთარ ჭითანავა ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ყრმობის მეგობარს ამირან როგავას უძვირფასესი მეუღლის, ჩვენი ქალაქის თვალსაჩინო წარმომადგენლის, საზოგადო მოღვაწისა და კეთილშობილი ქალბატონის

ლალი ჟორჟოლიან-როგავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ ჩვენი კარაბადინი

„თავბრუდამხვევი“ პრობლემები

ექიმთა **დაკვირვებით, 65 წლის ასაკის შემდეგ, ყოველი მეხუთე ადამიანი თავბრუხვევას უჩივის. როგორ უნდა ავარიდოთ თავი ამ მეტად არასასიამოვნო შეგრძნებას?**

მაინც რატომაა, რომ ადამიანებს ასე აშინებთ თავბრუხვევა? იმიტომ, რომ მას ხშირად ეგრეთ წოდებული „ექვსი უბედურების“, მათ შორის, **დაცემის, მოტეხილობის, ლოგინად ჩავარდნის, პნევმონიის, ნაწოლების გაჩენისა და ბოლოს, დაკრძალვის „მოტანა“ შეუძლია.** წონასწორობის დაკარგვით გამოწვეული შიში ხანდაზმულ პაციენტში იმდენად ღრმად იბუდებს, რომ მას, უბრალოდ, სახლიდან გასვლისა ეშინია და კარჩაკეტილ ცხოვრებას იწყებს. არადა, დროული მკურნალობა მას პრობლემას თავიდან ააცილებს და ყოფიერების სიხალისეს დაუბრუნებს, აცხადებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ნევროლოგი **ალექსანდრე ამელინი.**

— როცა ექიმს თავბრუხვევის საჩივრით აკითხავთ, კარგი იქნება, თუკი თავდაპირველად ტერმინებში გაერკვევით, — ამბობს დოქტორი ამელინი. — თავბრუხვევას (ანუ ვერტიგოს), ჩვეულებრივ, ან თავის შიგნით, ანდა გარშემო მყოფი საგნების მოძრაობის ილუზიას ეძახიან.

პაციენტებმა კი თავბრუხვევა შეიძლება უწოდონ კიდევ არამდგრადობის შეგრძნებას, სიარულის დროს დამაჯერებლობის არქონას, სიმაღლის შიშს... ამიტომ ექიმს პაციენტისთვის არაერთი შეკითხვის დასმა მოუწევს, ვიდრე ზუსტად დაადგენს, თუ რამდენად აქვს საქმე ჭეშმარიტ თავბრუხვევასთან — წონასწორობის დაკარგვასთან, ბალანსის დარღვევასთან.

არსებობს 80-ზე მეტი დაავადება, რომელსაც ამა თუ იმ ფორმით შესაძლოა წონასწორობის დარღვევა ახლდეს: ესენია, კერძოდ, **ენდოკრინული სნეულებები (უმთავრესად დიაბეტი), თავისა და კისრის ტრავმები, გულისა და სისხლძარღვების, შიდა ყურის, პერიფერიული და ცენტრალური ნერვული სისტემის სნეულებები, ფსიქიკური პრობლემები და სხვ.**

თავბრუსხვევა ხშირად ზოგიერთ ინფექციურ დაავადებასაც ახლავს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ არასასიამოვნო სიმპტომს წარმოშობის საკუთარი მექანიზმი გააჩნია. ხოლო **თუკი ხანდაზმული ადამიანი თავბრუსხვევის მოკლევადიან შეტევებს უჩივის, ამის ბრალი გულთან დაკავშირებული პრობლემებია, რომელთა გამო თავის ტვინი სისხლს რეგულარულად არ იღებს.**

ინფექციების დროს საქმე გაცილებით რთულადაა — **ვირუსს ან ბაქტერიას ვესტიბულარული სისტემის ნებისმიერი ორგანოს — ვთქვათ, ყურის, თავის ტვინის — დაზიანება შეუძლია.** ამ შემთხვევაში თავბრუხვევა ინტოქსიკაციის შედეგი ხდება.

მაგრამ, უფრო ხშირად, აშკარად გამოხატული თავბრუხვევას მაინც შუა ყურისა და ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემების დაავადებები იწვევენ. **ძლიერი თავბრუხვევა თუ დაგემართათ გულისრევის შეგრძნებით, პირღებინებითა და ოფლიანობით, ნუ შეგეშინდებათ — ეს ინსულტი არ არის.** შიდა ყურში განთავსებული ვესტიბულარული აპარატის დაზიანება უფრო ხშირად საგრძნობ თავბრუსხვევას იწვევს — იმის მსგავსად, როცა ასაკის მატებასთან ერთად თვალისჩინის ასაკობრივი კლება — ხანდაზმულობის შორსხედვა ვითარდება. ასევე ბერდებიან შიდა ყურის ლაბირინთის უჯრედებიც, რომლებიც წონასწორობის შენარჩუნებაში გვეხმარებიან. ასეთმა პაციენტებმა ოტოლარინგოლოგს უნდა მიაკითხონ!

ერთი სიტყვით, თავბრუხვევის მიზეზის დადგენის შემდეგ ექიმი მკურნალობის ტაქტიკასაც განსაზღვრავს. ბალანსის ასაკობრივი დარღვევის დროს კი ბოლო დროს ვესტიბულარულ იმპლანტანტებს იყენებენ, თუმცა კი, მეთოდიკა ჯერჯერობით დამუშავების სტადიაშია, ამიტომ მის მასობრივ გამოყენებას გარკვეული დრო დასჭირდება. განსაკუთრებული სარტყელი კი, რომელსაც წელზე დისბალანსის შეგრძნების წარმოშობისას შემოირტყავენ და რომელიც სხეულის სწორ მდგომარეობაში ყოფნას აკონტროლებს, ამჟამადაც ყველასთვის სავსებით ხელმისაწდომია.

საჭირო რჩევა

თუკი შინ ძაღლი ან კატა გყავთ, ეცადეთ, თვალთახედვის არეში გყავდეთ. როცა ლოგინიდან დგებით, თავისთან იხმეთ: ხანდაზმულ ადამიანთა შორის ოჯახში მიღებული ტრავმების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული მიზეზი ის ხდება ხოლმე, როცა კაცი მოულოდნელად მოვარდნილ ცხოველს ფეხს წამოჰკრავს და ეცემა.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

◎ თბილისის მერიას და საკრებულოს

გვჭირდება ქუჩა, რომელიც ირინა ენუქიძის ბრძოლას გაგვახსენებს

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ მთავარი რედაქტორი ვადიმ ანასტასიადი გაზეთის მკითხველთა სახელით თხოვნით მიმართავს დედაქალაქის მერსა და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ დედაქალაქის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ათი წლის წინათ მუხანათურად მოკლული სანდრო გირგვლიანის დედის, სამართლიანობისთვის ბრძოლის დაუღალავი მებრძოლის და ამ ბრძოლაში ზვარაკად შეწირული ქალბატონის **ირინა ენუქიძის** სახელი.

ბატონ ვადიმის ამ მოთხოვნას მხარს უჭერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი. ეს მართლაც საშვილიშვილო საქმე იქნება, რათა შთამომავლობას შემოვუნახოთ დედობის, ერთგულებისა და სამართლიანობისთვის მებრძოლი ქალბატონის სახელი.

ჩვენ გვჯერა, რომ ამ ინიციატივას მრავალი ათასი მხარდამჭერი ეყოლება.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

ახალი ბაზარი მედიასივრცეში

„ბრეჩიხა“ პრემიერს ხშირად ხვდება?

ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გია გაჩეჩილაძე ადასტურებს, რომ გასულ დღეებში პრემიერ-მინისტრს შეხვდა, თუმცა, მისი თქმით, საუბარი „მაესტროსთან“ დაკავშირებით არ ყოფილა.

„პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა მქონდა, ის ჩემი მეგობარია, ორ დღეში ერთხელ ვხვდები და რა არის პრობლემა? „მაესტროზე“ არ გვისაუბრია. სხვა თემებზე იყო საუბარი. მეგობარს და ამხანაგს რაზე ვესაუბრები, ამას არ ვეტყვი მედიას“, — აცხადებს გაჩეჩილაძე.

ტელეკომპანია „მაესტროს“ საკონტროლო პაკეტის მფლობელი გიორგი გაჩეჩილაძე გახდა. მან ტელეკომპანიის 55%-იანი წილი შეიძინა. პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას არხის გენერალური დირექტორი ბაია გადაბაძეც ითხოვს.

„მაესტროს“ ჟურნალისტები კი ტელეკომპანიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებენ.

„მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ, რომ სარედაქციო დამოუკიდებლობა „მაესტროს“ თანამშრომლებისთვის ყოველთვის იყო და არის უმნიშვნელოვანესი ღირებულება, რომელიც კომპანიის არსებობის არც ერთ ეტაპზე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დამდგარა. მათ შორის არც ბაია გადაბაძის მმართველობისას. მისი გენერალური დირექტორობის პერიოდში ყოველთვის გარანტირებული იყო სარედაქციო დამოუკიდებლობა და არ ყოფილა ჩარევის არც ერთი მცდელობა.

ტელეკომპანია „მაესტროს“ თანამშრომლები ვიმედოვნებთ, რომ ეს მოცემულობა არც მომავალში შეიცვლება და „მაესტრო“ არ დაკარგავს იმას, რის გამოც ის ყოველთვის იყო აქ მომუშავე ადამიანებისთვის კომფორტული გარემო“, — ნათქვამია განცხადებაში.

გია გაჩეჩილაძე ბაია გადაბაძეს შანტაჟში ადანაშაულებს

„მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ბაია გადაბაძემ პარტნიორთა კრებაზე მისულ გია გაჩეჩილაძეს იმ ფულის წარმომავლობაზე სთხოვა განმარტება, რითაც მან ტელეკომპანიის წილები შეიძინა.

„მე გეკითხებით ირაკლი რუხაძეზე, რომელმაც გაუშვა ინგა გრიგოლია, რომელმაც გაუშვა ლევან ჩხაიძე, რომელიც დღეს ჩემთან მუშაობს“, — აცხადებს გადაბაძე.

გია გაჩეჩილაძემ ამ განცხადებას შანტაჟი უწოდა და მას ტელევიზიაში დარჩენა შესთავაზა.

„ბაია, შენ რასაც აკეთებ, ეს არის შანტაჟი. ბაია, როგორც შენ გინდა, თუ გინდა დარჩი, თუ გინდა — წადი“, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

ბაია გადაბაძემ არხზე დარჩენის სურვილი გამოხატა.

„მე გთავაზობთ, რომ დავრჩები და ერთად ვმართოთ ტელევიზია, ოღონდ სარედაქციო დამოუკიდებლობას შევინარჩუნებთ. მე არასდროს წარმომედგინა, რომ მე და შენ სხვადასხვა მხარეს ვიდგებოდით. მე არ მინდა, რომ ირაკლი რუხაძემ და სხვა ტელეკომპანიის მმართველებმა გადათელონ ჩვენი დამოუკიდებლობა“, — განაცხადა ბაია გადაბაძემ.

„არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, ერთი დირექტორი იცვლება მეორეთი, ვისით იცვლება? ვადასტურებ, რომ ლევან გაჩეჩილაძეზეა საუბარი. ტელევიზიის რეიტინგი 15%-დან 4%-ზე ჩამოვიდა. ეს საკმარისია იმისთვის, რომ შეიცვალოს დირექტორი თუ არა?“, — აცხადებს გაჩეჩილაძე.

მისივე თქმით, სანამ იგი ტელევიზიის 25%-ს ფლობდა, არ ერეოდა „მაესტროს“ საქმიანობაში, რადგან მართვა სხვას ჰქონდა გადაცემული.

მთავრობა მესაკუთრეთა დავაში ვერ ჩაერევა

პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის აზრით, ტელეკომპანია „მაესტროსთან“ **დაკავშირებულ კითხვებზე გიორგი კვირიკაშვილის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია:**

„საქართველოში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ჩვენი საზოგადოების მთავარი მონაპოვარია. პრემიერ-მინისტრის პოზიციაა, რომ ამ თავისუფლებას არანაირი საფრთხე არ უნდა დაემუქროს. ტელეკომპანია „მაესტროს“ გარშემო მიმდინარე მოვლენები ამ დრომდე მხოლოდ მესაკუთრეებს შორის დავის ხასიათს ატარებს.

პრემიერი მიიჩნევს, რომ ამ საკითხში მთავრობისა და პოლიტიკური ძალების რაიმე ფორმით ჩარევა კატეგორიულად დაუშვებელია. პოლიტიკური სპექტრის ამოცანად უნდა რჩებოდეს ქვეყანაში თავისუფალი და პლურალისტური მედიაგარემოს უზრუნველყოფა, რაც ამ შემთხვევაშიც სახეზეა“, — ნათქვამია ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **მიხო, დავუშვათ, ნიკას აქვს 35 ცალი შოკოლადიანი ბატონი. აქედან 28 ცალი ერთ დღეში შეჭამა. რა დარჩება მას მომდევნო დღისთვის?** — ეკითხება მასწავლებელი.

— **დიაბეტი, მასწ!**

* * *

— **მე ხშირად მადარებენ ღმერთს! „ღმერთო, ისევ შენ?“** — იძახიან ჩემს დანახვაზე.

* * *

— **კამათში ჭეშმარიტება იბადება.**

— **არ ვიცი, არ ვიცი. მე, მაგალითად, კამათის მერე გამიჩნდა ჩალურჯებული თვალი, ჩატეხილი კბილი და ორი გატეხილი ნეკნი.**

* * *

— **რა უნდა უყო ადამიანს, რომელიც უამრავ სიგლახეს გიკეთებს?**

— **ჩამოწერე ქაღალდზე მისდამი პრეტენზიები და დაწვი.**

— **გასაგებია... წერილს რა ვუყო?**

* * *

— **დედი, დღეს ტესტირებაში მაღალი ბალი მივიღე!..**

— **ყოჩაღ, შვილო! რა ტესტი ჩააბარე?**

— **ტესტი სისხლში ალკოჰოლის შემცველობაზე...**

გმადლობთ, რომ ყველაზე ძველ და სანდო გაზეთს კითხულობთ, ყოველი ნომრის შეძენით თქვენ აძლიერებთ „რესპუბლიკას“!